

F-133
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

1961 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს დადგენილებები

39. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 მარტის № 194 დადგენილებების შესაბამისად იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შეცვლისა და გაუქმების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ზორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე.
40. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურებისა და კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
41. „გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოწვობის შესახებ“ საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 მარტის № 183 დადგენილების დამატების თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

42. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად გაშლილი სპეციალური შეჯიბრების შესახებ.

F. 2484





საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

სსრ მინისტრთა საბჭოს
დადგენილება № 165

43. საქართველოს სსრ შინაწესდარსებებში თევზჭერის წესების შესახებ.
44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს ხაზით მუშათა კვალიფიკაციური კადრების მომზადების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ.
45. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის № 165 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.
46. იმ საბუთების ნუსხის შევსების შესახებ, რომელთა მიხედვითაც დაელოდების გადახდებიანა წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.
47. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის № 253 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 30 სექტემბრის № 1078 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
48. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ბრეშისა და ქვიშის მოპოვების მოწესრიგების ზომების შესახებ.
49. შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის გაძლიერების შესახებ.
50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ნოემბრის № 783 და 1960 წლის 3 დეკემბრის № 821 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
51. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის № 254 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.
52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
53. წელისა და ქარის ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის ღონისძიებათა შესახებ.
54. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.
55. „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების შესრულების ღონისძიებებზე.
56. საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთწოდვის ერთიანი ტარიფების შესახებ.



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 მარტის № 194 დადგენილების შესაბამისად იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შეცვლისა და გაუქმების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე

დადგენილებები

39 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 მარტის № 194 დადგენილების შესაბამისად იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შეცვლისა და გაუქმების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე

შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 მარტის № 194 დადგენილებისა „იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების შეცვლისა და გაუქმების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე“, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა თანდართული ცვლილებანი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 3 ივლისის № 345 დადგენილების 1 მუხლის ქვებუნქტი „ბ“.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. შავეჩაძე.**
სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე.**

ქ. თბილისი 1961 წ. 20 მაისი, № 308



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 მაისის № 308 დადგენილების დანართი

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე

1. „ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 12 დეკემბრის № 1657 დადგენილებაში:

ა) მუხლი 34-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 10 ოქტომბრის № 2593 დადგენილებით უფლება მიენიჭათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გადაანაწილონ საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების, საოლქო, სამხარეო და ასსრ ცენტრების რაიონული და საქალაქო მრეწველობის საწარმოების დაგროვებანი, რომლებიც კაპიტალურ მშენებლობას ხმარდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების შესაბამისად, რათა გამოყენებულ იქნას ეს დაგროვებანი რაიონული მრეწველობის საწარმოების მშენებლობისა და გაფართოებისათვის ოლქებში, მხარეებში, ასს რესპუბლიკებში, რომელთაც საჭირო დაგროვებანი არა აქვთ, აგრეთვე საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მშენებლობისა და გაფართოებისათვის კაპიტალური მშენებლობის დამტკიცებული გეგმების გადამეტებით, აგრეთვე უფლება მიენიჭათ ხარკონ აღნიშნულ დაგროვებათა ნაწილი, რაც კაპიტალურ მშენებლობას ხმარდება, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების მშენებლობისა და გაფართოებისათვის“;

ბ) 35-ე მუხლის ქვეპუნქტი „ე“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნებადართულია გამოყენებულ იქნას რაიონული და საქალაქო (გარდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა) იმ მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა და გაფართოებისათვის, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, ამ მრეწველობის საამორტიზაციო ანარიცხები, რაც განკუთვნილია კაპიტალური მშენებლობისათვის“;

გ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხლი 33-ე.

2. „საქართველოს სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს კმ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 8 სექტემბრის № 507 დადგენილებაში:

ა) მე-17 მუხლის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „აღნიშნული ფონდი შეიქმნება რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოების მოგებათა ანარიცხების ანგარიშში, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილების შესაბამისად ხმარდება ამ მრეწველობის გაფართოებას, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ საწარმოთა მოგების ანარიცხებიდან, რომლებიც საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შედიან“;

ბ) მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესდეს, რომ, 1961 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, 35 პროცენტი რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოთა მოგებიდან, აგრეთვე რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ საწარმოთა მოგების ანარიცხებიდან, რომლებიც საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შედიან, რჩება ამ მრეწველობის გასაფართოებლად კაპიტალურ სამუშაოთა დამტკიცებული გეგმების ზევით“;

გ) მე-19 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესდეს, რომ ამ დადგენილების მე-18 მუხლით გათვალისწინებული 35-პროცენტისანი მოგებისაგან შექმნილი სახსრებიდან მოხმარდება“.. და შემდეგ ტექსტის მიხედვით.

40 ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურებისა და კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა, განსაკუთრებით ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა, სეერთო დაავადება და სიკვდილიანობა.

ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა დაავადება 1950 წელთან შედარებით შემცირდა 28 პროცენტით, ხოლო სიკვდილიანობა — 1000 დაბადებულზე — 28,9 პროცენტით ნაცვლად 50,1 პროცენტისა.

1960 წელს საწოლების რაოდენობა ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებებში გაიზარდა 71,3 პროცენტით, ბავებში — 24,2 პროცენტით, პედიატრი ექიმების რაოდენობა გადიდა 64,9 პროცენტით. თვალსაჩინოდ ამალდა ექიმების კვალიფიკაცია.

ამავე დროს, საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის საქმეში რესპუბლიკაში არის მთელი რიგი სერიალური ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

ჯერ კიდევ დაბალია სამედიცინო მომსახურების კულტურა და პროფილაქტიკური მუშაობის დონე, განსაკუთრებით რახიტის წინააღმდეგ. არადაამკმაყოფილებლად არის ორგანიზებული ბრძოლა პიოზოგალაქტიუმის წინააღმდეგ, მაღალია სიკვდილიანობის პროცენტი ფილტვების ანთებისა და კუჭ-ნაწლავთა დაავადებისაგან, იგრძნობა ბავშვთა საავადმყოფოებში, განსაკუთრებით სპეციალიზირებულ-ჭირურგიულ, თვალის, ფსიქონევროლოგიურ, ტუბერკულოზურ საავადმყოფოებში, საწოლების ნაკლებობა, რაც იწვევს ოჯახებში ბავშვთა იძულებითი ჰოსპიტალიზაციის ხშირ შემთხვევებს.

რესპუბლიკას აკლია 800-ზე მეტი სამშობიარო საწოლი და შესაბამისი რაოდენობა საწოლებისა ახალშობილი ბავშვებისათვის. აგრეთვე სრულიად არასაკმარისია საწოლების რიცხვი „დედათა და ბავშვთა“ სანატორიუმებში. ცოტა გამოდის მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურა, თვალსაჩინო სახელმძღვანელოები მშობლებისა და საბავშვო დაწესებულებებისათვის ადრე ასაკის ბავშვთა მოვლისა და კვების ორგანიზაციის საკითხებზე.



სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მატერიალური საშუალებული ნორმატივები საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალის დატვირთვისა ახალშობილთა განყოფილებებში ერთგვარად უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვთა სწორი და დროული მოვლის ორგანიზაციაზე.

ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებების უმეტესობა მოთავსებულია ამ მიზნისათვის ნაკლებად მოწყობილ და უვარგის შენობებში. ქუთაისის საავადმყოფო მოთავსებულია საცხოვრებელ სახლში, ბათუმის საავადმყოფო — ბარაკის ტიპის შენობაში; ხოლო ქალაქ თბილისის ექვსი საავადმყოფოდან ოთხი მოთავსებულია ბავშვთა ბავშვისათვის აშენებულ შენობაში. ბავშვთა არცერთი საავადმყოფო არ არის უზრუნველყოფილი ცხელი წყალმომარაგებით, ბევრ მათგანს, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, არ გააჩნიათ ცენტრალური გათბობა და მინიმალური პირობები ბავშვთა საჭირო მოვლისა და მკურნალობის ორგანიზაციისათვის. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან ბავშვთა პოლიკლინიკები, ბაგები, ჩვილ ბავშვთა სახლები და პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სტაციონარი. ქალაქ თბილისშიც კი დღემდე არ არის აშენებული არცერთი საბავშვო სამკურნალო დაწესებულება, რომელიც შეესაბამება მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები არ იღებენ საჭირო ზომებს, რათა შეავსონ პედიატრ ექიმთა ვაკანტური თანამდებობანი, ნაკლებად ზრუნავენ განსაკუთრებით საბავშვო დაწესებულებათა საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

აშკარა არასაკმარის ყურადღება ექცევა ძუძუთა ბავშვების კვების ორგანიზაციის საკითხებს. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მთლიანად არ შეუსრულებია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 6 ივნისის № 382 დადგენილება აღნიშნული ასაკის ბავშვთა კვების ორგანიზაციის და ნოყიერი ნარეგებისა და ვიტამინიზებული წენის გამოშვების უზრუნველყოფის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ უწევს რძის პროდუქტების სამზარეულოების საქმიანობას. ამავე დროს მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს.



აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და რუსთავეის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება სოხუმში, ბათუმში, ფოთსა და რუსთავეში რძის პროდუქტების სამზარეულოების მოსაწყობად სადგომების გამოყოფის შესახებ.

ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს არ შეუსრულებიათ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 23 მაისის პლენუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ მოეწყოს სპეციალიზებული მაღაზიები, სადაც გაიყიდება წვრილად დაფასოებული მაღალი ხარისხის სხვადასხვაგვარი პროდუქტები ბავშვთა კვებისათვის.

ერთი წლის ასაკამდე ბავშვთა სამედიცინო მომსახურების საქმეში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჭეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა დაავადებისა და სიკვდილიანობის შემცირებისათვის ბრძოლის გაძლიერება მიიჩნიათ რა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ :

1. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს ბავშვთა პოლიკლინიკების, ამბულატორიების მუშაობა; უზრუნველყოს ორსული ქალებისა და ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სისტემატური აქტიური პატრონაჟი, ყოველმხრივ გააუმჯობესოს პროფილაქტიკური მუშაობა, განსაკუთრებით რაბიტის წინააღმდეგ; უზრუნველყოს პნევმონიით, აგრეთვე კუჭნაწლავის მწვავე ავადმყოფობით დაავადებული ადრე ასაკის ბავშვთა სრული ჰოსპიტალიზაცია;

ბ) 1961 წელს მოაწყოს ქალაქის ყველა სამშობიარო სახლში სპეციალური განყოფილებები ან პალატები დღენაკლული ბავშვებისათვის; სამეანო და გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გააფართოოს აღნიშნული განყოფილება 25 საწოლამდე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საავადმყოფო საწოლების რაოდენობის ფარგლებში;

1961—1962 წლების განმავლობაში მოაწყოს ბავშვთა ყველა საავადმყოფოში, ამაჟამად არსებული საავადმყოფო საწოლების ფარგ-



ლებში, შესაბამისად მოწყობილი პალატები ძუძუთა ბავშვებისთვის. პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შექმნას 25 საწოლიანი განყოფილება პირველი ორი თვის ასაკის ბავშვთათვის, ხოლო თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, თელავის, რუსთავეისა და სტალინის ბავშვთა საავადმყოფოებში ათ-ათ საწოლიანი განყოფილებები;

გ) 1961 წლის განმავლობაში ჩაატაროს რაიონული პედიატრების, ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებისა და გამგეების ატესტაცია; 1960—1962 სასწავლო წელს გადააკეთოს თბილისის ერთ-ერთი საშუალო სამედიცინო სკოლა ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მედიცინის დების სკოლად; მედიცინის დების დახელოვნების რესპუბლიკურ სკოლაში გახსნას სპეციალური ციკლები ახალშობილი, დღენაკლული და ძუძუთა ბავშვების განყოფილებებში მომუშავეებისათვის.

ქალაქ თბილისისა და ქუთაისის სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სადგურებთან მოაწყოს 1961 წელს პედიატრიული ჯგუფი;

დ) პედიატრიის, სამეანო და გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა სამედიცინო ინსტიტუტისა და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის შესაბამის კათედრებთან ერთად, გააძლიერონ სამეცნიერო მუშაობა და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ბავშვთა და ქალთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაადრევი მშობიარობისა და დღენაკლულობის, პიზო და აგლაქტიის, ახალშობილი დღენაკლული და ძუძუთა ბავშვების მოსავლისა და კვების საკითხების შესწავლასა და დამუშავებას; ყოველმხრივ შეისწავლონ დისტროფიის, დიზერგიის, რახიტის, მშობიარობის ტრავმატიზმის საკითხები და ახალშობილთა სიკვდილიანობის მიზეზები;

ე) თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტმა, პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა გააძლიერონ მუშაობა პედიატრთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; ექიმების მომზადების დროს შერეული ყურადღება მიაქციონ ადრე ასაკის ბავშვთა კვების, აღზრდის, პიგიენისა და პროფილაქტიკის საკითხებს, ახალშობილთა და დღენაკლულთა მოვლასა და მკურნალობას, აგრეთვე ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს;



ვ) მოამზადოს 1961 წელს ტექნიკური დოკუმენტაციაში მუშაობისათვის საავადმყოფოს (თითო 120-საწოლიანი) მშენებლობისა ქალაქ თბილისში და რძის პროდუქტების 22 სამზარეულოს მშენებლობისათვის (№ 1 დანართის თანახმად). აღნიშნული ობიექტების მშენებლობა შეიტანოს კაპიტალური მშენებლობის 1962—1963 წლების გეგმებში;

ზ) დააწესტოს იმ სახსრების ოდენობა, რაც საჭიროა ცენტრალური გათბობის სისტემის, ცხელი წყლის მომარაგების, ნახევრადმექანიზებული სამრეცხაოს, სამზარეულოების, სასადილოების მშენებლობისათვის ბავშვთა და შშობიარეთა დამხმარე მოქმედ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ამასთან ამ სამუშაოებისათვის საჭირო ასიგნობანი გაითვალისწინოს 1962 წლის გეგმის პროექტით;

თ) შეისწავლოს ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ბავშვთა სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გაფართოების საკითხები და, დაწესებული საშტატო ნორმატივების შესაბამისად, გაითვალისწინოს 1962 წლის გეგმის პროექტით სამედიცინო პერსონალის საჭირო გადიდება.

2. რადგან სასოფლო რაიონები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ძუძუთა ბავშვების კვების ორგანიზაციაში, რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გაშალონ საკოლმეურნეო, საკოლმეურნეობათაშორისო და საბჭოთა მეურნეობების რძის პროდუქტების სამზარეულოების მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ უახლოეს ორი წლის განმავლობაში დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება ადრე ასაკის ბავშვთა კვებაზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს მათი დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით.

3. გამოეყოს 1961 წელს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიზნობრივი დანიშნულებით მაცივრები „დნეპრი“ — 12 ცალი და ფრენისა — 2 ცალი (აჟ-2ფ-8/4), მობოროტორები — 27 ცალი (220 კვრ ტვირთზიდვისა) და ერთი ფურგონი „მოსკვიჩი“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეზერვიდან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად გამოეყოს სახსრები იმ საერთო ასიგნობათა ხარჯზე, რაც ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებისათვის არის გათვალისწინებული 1961 წლის ადგილობრივი და რესპუბლიკური ბიუჯეტებით, არსებულ სამშობიარო სახლებში ახალშობილთა განყოფილებების კაპიტალური რე-



მონტისა, კეთილმოწყობისა და გაწყობისათვის, № 2 დანართის თანახმად.

5. დაევალოთ ქალაქ ფოთისა და კიათურის, წულუკიძის, სამტრედიის და ზუგდიდის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ 1961 წელს რძის პროდუქტების სამზარეულოებად გამოყოფილი სადგომების რემონტი და გაწყობა, ამ ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების შესრულების წესით, № 3 დანართის თანახმად.

6. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1961 — 1962 წლების განმავლობაში უზრუნველყონ შესაბამისი სადგომებით ბავშვთა პოლიკლინიკები, გამოიყენონ ამ მიზნისათვის პირველი სართულები (დარბაზები) ახლად აშენებულ შენობებში აგრეთვე განთავისუფლებული შესაფერისი სადგომები. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1961 წლის დამლევაამდე გააფართოოს 100 საწოლამდე სპეციალიზებული (ინვალიდებისათვის) ბავშვთა სახლი იმ სადგომის განთავისუფლების ზარჯზე, რომელიც ამ სახლში საბავშვო ბავშბს უკავია, 1961 წლისათვის გათვალისწინებული საწოლების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1961 წლის დამლევაამდე გადაიყვანოს ბავშვთა სომატური სავადმყოფოს შენობიდან ბავშვთა ინფექციური სავადმყოფო შესაბამის შენობაში.

7. გადაეცეს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის შენობა, მისი განთავისუფლების შემდეგ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს.

8. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და ტრესტ მთავართბილმშენმა უზრუნველყონ ბათუმის ბავშვთა სავადმყოფოსა და თბილისის სამშობიარო სახლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულება.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს უზრუნველყოს, რომ საქართველოს საკონსერვო ტრესტის საწარმოებმა გამოუშვან 1961 — 1965 წლებში ბავშვთა კვების პროდუქტები, № 4 დანართის თანახმად, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ასორტმენტითა და დაფასოებით.



10. წინადადება მიეცეთ საქართველოს სსრ ვაჭრობის, მრეწველობის, სპორტის და ცეკავშირის გამგეობას უზრუნველყონ ყველგან ბავშვთა კვების დაფასობული პროდუქტების ვაჭრობა სასურსათო მაღაზიებში, ხოლო დიდ სასურსათო მაღაზიებსა და რძის პროდუქტების სპეციალიზებულ მაღაზიებში მოაწიონ ბავშვთა კვების პროდუქტების ვაჭრობის ცალკე სექციები.

11. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და ვაჭრობის სამინისტროებს, აგრეთვე ცეკავშირის გამგეობას მოაწიონ პროსპექტების, ფურცლების, პლაკატებისა და სამეცნიერო-პოპულარული და მასობრივი ლიტერატურის სხვა სარეკლამო მასალების გამოშვება მასობრივი ტირაჟით ბავშვთა კვების შესახებ.

მოხდეს ბავშვთა კვების პროდუქტების პოპულარიზაცია ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, მაღაზიების, კინოს, რადიოს, ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით.

12. დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, განსაკუთრებით იქ, სადაც ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ქალთა, პირველ რიგში იმ ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, რომლებსაც ჭბუთა ბავშვები ჰყავთ, შეუქმნან მათ ყველა საჭირო პირობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვთა სრულფასოვან კვებასა და მათ მოვლას.

13. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა გააძლიერონ ადრე ასაკის ბავშვთა მოვლის, აღზრდის, აგრეთვე ცალკეულ დაავადებათა პროფილაქტიკის ცოდნის პროპაგანდა, 1961 — 1962 წლების განმავლობაში შექმნან ადრე ასაკის ბავშვთა მოვლის, აღზრდისა და კვების, აგრეთვე რახიტის, ფილტვების ანთების, კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადების პროფილაქტიკის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სერია.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს გასცეს ბავშვ-



თა კვების პროდუქტების დამამზადებელი საწარმოებისათვის და
რო რაოდენობის ვიტამინები და კალციუმი.

15. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყოს რძის პროდუქტების სამზარეულოების შეუფერხებელი მომარაგება მოუხდელი რძით, ბურღულით, შაქრით, კეფირით, ხაჭოთი, კარტო-ფილის ფქვილითა და სხვა პროდუქტებით.

16. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურა ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელებს განახორციელონ უაღრესად გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა უახლოეს დროში აღმოიფხვრას ამ დადგენილებით აღნიშნული ნაკლოვანებანი ძუძუთა ბავშვების სამედიცინო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მშაპანაძე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ჯაპახიშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წ. 20 მაისი, № 311

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 მაისის № 311 დადგენილების დანართი № 1

ს ი ა

საავადმყოფოებისა და რძის პროდუქტების სამზარეულოებისა

ბავშვთა ორი საავადმყოფოს მშენებლობა თბილისში 1962 — 1963 წლებში — 1.000 ათასი მან.

რძის პროდუქტების სამზარეულოს მუშაობის უზრუნველყოფისათვის	ქ. თბილისის 26 კომისიის სახ. რაიონში 5000 კერძისა 1963 წელს	— 100	"
	ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონში 5000 კერძისა 1963 წელს	— 100	"
	ზესტაფონის რაიონულ ცენტრში 1000 კერძისა 1962 წელს		
	ქ. ტყიბულში 1000 კერძისა 1962 წელს	— 15	"



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რბის პირობებში
ტვიზის საზარე-
ულის მშენებ-
ლობა შემდეგი
მოცულობით

"	ახალქალაქის რაიონებში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	ათასი მან.
"	ქ. ქუთაისში 2000 კერძისა 1962 წელს	—	35	"
"	ქ. სოხუმიში 2000 კერძისა 1961 წელს	—	35	"
"	ქ. ბათუმში 2000 კერძისა 1961 წელს	—	35	"
"	ქ. სტალინოპოლისში 2000 კერძისა 1962 წელს	—	35	"
"	ქ. მახარაძეში 2000 კერძისა 1962 წელს	—	35	"
"	თელავის რაიონულ ცენტრში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	ახალციხის რაიონულ ცენტრში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	ბორჯომში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	ათასი მან.
"	გურჯაანში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	კასპში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	ღანსუთში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	მარნეულში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	ზაგორში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	ტყვარჩელში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	წითელწყაროს რაიონში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	ცხაეთქში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"
"	წყალტუბოში 1000 კერძისა 1962 წელს	—	15	"

სულ: 34.000 კერძისა 1.600 ათასი

მან, რაოდენობით

საქართველოს კვ. ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 მაისის № 311-ს მითითებული გეგმების დანართი № 2

ნახსრები, რაც 1961 წელს გამოიყოფა არსებულ სამშობიარო სახლებში ახალშობილთა განყოფილებების გაფართოებისა და კეთილმოწყობისათვის

ქალაქების დასახელება	თანა (ათას მან.)	დაფინანსების წყაროები
ქ. თბილისი	25,0	ადგილობრივი ბიუჯეტი
ქ. სოხუმი	8,0	"
ქ. ბათუმი	8,0	"
ქ. სტალინარი	8,0	"
სულ ადგილობრივი ბიუჯეტით	49,0	
ქ. ქუთაისი	10,0	რესპუბლიკური ბიუჯეტი
ქ. ფოთი	8,0	"
ქ. გორი	8,0	"
ქ. კიათურა	8,0	"
სულ რესპუბლიკური ბიუჯეტით	34,0	
მთლად სახელმწიფო ბიუჯეტით	83,0	



საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტროს საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის 1961 წლის 20 მაისის № 311 დღგ განილების დანართი № 3

სახსრები, რაც 1961 წელს გამოიყოფა რძის პროდუქტების სამწარეულოებად გამოყოფილი სადგომების კაპიტალური რემონტისათვის

(1000 კუბისათვის თვითუფლო) (ათას მანეთობით)

	თანა
კ. წულუკიძე	6,0
„ კიათრა	3,7
„ სამტრედია	6,0
„ ზუგდიდი	9,0
„ ფოთი	8,0
ს უ ლ	32,7



საქართველოს აკადემიის ცენტრალური განყოფილება
 ტის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 საბჭოს 1961 წლის 20 მაისის № 311 დადგენილების დანართი № 4

ს ი ბ

კვების პროდუქტებისა, რაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის
 საბჭოს საწარმოებმა უნდა გამოუშვან 1961—1965 წლებში
 (ათას მანეთობ.)

	1961 წელი	1962 წელი	1963 წელი	1964 წელი	1965 წელი
კონსერვი — სულ	1,9	2,3	2,5	2,8	3,0
მათ შორის:					
I. პიურესებრი	0,7	1,3	1,5	1,8	2,0
აქედან:					
ა) ბოსტნეულისა და ხორც- ბოსტნეულისა (პომიდოვნიზი- რებული)	—	0,3	0,3	0,5	0,5
ბ) ხილისა	0,7	1,0	1,2	1,3	1,5
II. წვენი	0,9	1,0	1,0	1,0	1,0
აქედან:					
ა) ბოსტნეულისა	—	0,5	0,5	0,5	0,5
ბ) ხილისა	0,9	0,5	0,5	0,5	0,5
III. კომპოტი	0,3	—	—	—	—



41 „გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 მარტის № 183 დადგენილების დამატების თაობაზე

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 მარტის № 199 დადგენილების შესაბამისად, „გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 მარტის № 183 დადგენილების მე-2 მუხლის დამატებით, საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

უფლება მიენიჭოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეამცირონ მშობლებთან შეთანხმებით გახანგრძლივებულდღიან სკოლებსა და ჯგუფებში ღირებულება მოსწავლეთა დღიური კვებისა, რაც მოწყობილია მშობელთა სახსრების ხარჯზე.

საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. მძაპანაძე.**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 3 ივნისი, № 345

42 ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონის ან ქალაქისათვის დაწესდეს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორი გარდამავალი წითელი დროშა ფულადი პრემიით თვითეული 1500 მანეთი, აქედან ერთი — ქ. თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, ფოთის;



ქიათურას, ვორის, რუსთაფისა და ტყვარჩელისათვის, ხოლო მეორე — რესპუბლიკის რაიონებისათვის;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მეშვეობით პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 3 გარდამავალი წითელი დროშა ფულადი პრემიით თვითღებულ 1000 მანეთი, აქედან ერთი — ზემოჩამოთვლილი ქალაქებისა, ხოლო ორი — რაიონებისათვის.

ხარჯები ზემოხსენებული ფულადი გილდოებისათვის გაღებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ, განათლებაზე რესპუბლიკური ბიუჯეტით ვათვალისწინებული სახსრებიდან.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 9 ივლისის № 477 დადგენილებით დამტკიცებული „ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ რაიონებსა და ქალაქებს შორის სოციალისტური შეჯიბრების პირობებში“ ძალაში დარჩეს ყოველი მომდევნო წლისათვის.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომებს, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომებს პროფორგანიზაციების კომიტეტებთან ერთად ყოველი წლის 15 ოქტომბრისათვის შეაჯამონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და წარმოუდგინონ ისინი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მეშვეობით პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მეშვეობით პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ყოველი წლის 1 დეკემბრამდე შეაჯამონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და საქართ-



ველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საკავშირო რესპუბლიკურ საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადებანი.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაპახიშვილი.

პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ლელაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წ. 17 ივნისი, № 377

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაღვენილებები

43 საქართველოს სსრ შინაწყალსატევებში თევზჭერის წესების მე-8 მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დაღვენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 დეკემბრის № 817 დაღვენილებით დამტკიცებული თევზჭერის წესების მე-8 მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მდინარე მტკვარში და ყველა მის შენაკადში აზერბაიჯანის სსრ საზღვრიდან დინების აღმა მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე — 1 მაისიდან 15 აგვისტომდე“.

„დ) მდინარე ხრამში შენაკადებით — 1 მაისიდან 15 აგვისტომდე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაბაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 6 მაისი, № 277



44

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს ხაზით მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი. ამჟამად რესპუბლიკაში არის 41 სასწავლებელი და მათი მოსწავლეთა კონტინგენტი 9.000 კაცს აღემატება და ეს იმ დროს, როდესაც 1958 წელს იყო 29 სასწავლებელი და 6.000 მოსწავლე. ამ პერიოდში სასწავლებლებმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მოამზადეს 84 პროფესიის 13.130 ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

სასწავლებლის თვითანაზღაურების დონე 1960 წელს აღწევდა 12,1 პროცენტს ნაცვლად 3,2 პროცენტისა 1958 წელს. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში გადარიცხული იყო 1958 წელს 1,19 მილიონი მანეთი, ხოლო 1960 წელს — 4,85 მილიონი მანეთი.

ამვე დროს სასწავლებლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს.

მთელ რიგ სასწავლებლებსა და სკოლებს არ მოეპოვებათ სრულფასოვანი სასწავლო-მატერიალური ბაზა, მათი სახელოსნოები საკმაოდ არ არიან გაწყობილი უახლესი მარკების ჩარხებითა და მექანიზმებით, ხოლო სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები — მოწყობილობით, მექანიზმებით, თვალსაჩინო ხელსაწყობით.

№ 20 სამშენებლო სასწავლებელს (ქ. ჭიათურა), № 6, 10 და 11 ტექნიკურ სასწავლებლებს (ქ. თბილისი) და № 12 ტექნიკურ სასწავლებელს (ქ. ქუთაისი) უკავიათ ისეთი სადგომები, რომლებიც გამოუსადეგარია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციისათვის. ცოტა შენდება ახალი შენობები სასწავლებლებისათვის:

ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, ტრესტი ჭიათურმარგანშენი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამმართველოები, ორგანიზაცია—საფოსტო ყუთი № 51, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობა, მთავართბილშენი სათანადო დახმარებას არ უწევენ სასწავლებლებს მათი სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, სასწავლო სახელოსნოების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების აღჭურვისა და გაწყობაში.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მ ა რ ქ ე ნ ე ნ უ ლ ი
ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი

1. დაწესდეს, რომ იმ ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკურ სწავლება, რომელიც წარმოებაში მიღის რეაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, და მუშათა კადრების საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება:

ა) ქალაქის, დღისა და საღამოს (ცვლების) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, რომლებიც სპეციალიზებული არიან წარმოების დარგების მიხედვით და მრეწველობისა, მშენებლობისა, ტრანსპორტისა, კავშირგაბმულობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის ამზადებენ დაწყებითი კვალიფიკაციის მუშებს სწავლების ერთი წლის ვადით და საშუალო კვალიფიკაციის მუშებს უფრო რთული პროფესიებისა და სპეციალობათა მიხედვით სწავლების 2-3 წლის ვადით;

ბ) სოფლის, დღისა და სეზონურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლების 1-2 წლის ვადით, რომლებიც ამზადებენ კვალიფიციურ კადრებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელემენტროფიკაციისათვის, სასოფლო მშენებლობისათვის, მემცენარეობის, მეცხოველეობის დარგებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის;

გ) უშუალოდ წარმოებაში ახალი მუშების ინდივიდუალური, ბრიგადული და საკურსო მომზადების გზით ისეთ პროფესიებში, რომელთა დასაუფლებლად საჭიროა არა უმეტეს 6 თვისა, და საწარმოო-ტექნიკური კურსების ქსელის მეშვეობით, რომლებიც ეწყობა მუშათა კადრების გადამზადებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათ მიერ საინჟინრო-ტექნიკური ცოდნის ელემენტების დაუფლებისათვის. მუშათა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება კურსებზე წარმოებს უმთავრესად წარმოებისაგან მოუწყვეტილად.

2. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს მიიღოს გადაწყვეტი ზომები როგორც მთავარ სამმართველოს, ისე მისი სასწავლებლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, უზრუნველყოს კვალიფიციურ მუშათა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება ყველა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვე-



ტილებათა და სკოლის შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე
რისთვისაც:

ა) განამტკიცოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, მოაწიოს მათში 1961—1962 წლების განმავლობაში 30 სასწავლო სახელოსნო, 5 ლაბორატორია, 25 კაბინეტი და შეავსოს მოქმედი სასწავლებლები საჭირო მოწყობილობითა და ინვენტარით;

ბ) 1964 წლამდე დაამთავროს ქალაქისა და სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებლებში სადაზგო მოწყობილობის მოდერნიზაცია და ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების განახლება;

გ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სასწავლო სახელოსნოებისა და სასწავლო მეურნეობების საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესება-გაფართოება, რისთვისაც გაადიდოს შემოსავალი სახელოსნოების საწარმოო საქმიანობისაგან და საწარმოო პრაქტიკის პროცესში ობიექტებზე მოსწავლეთა გამომუშავებისაგან, მკვეთრად გაადიდოს 1965 წლისათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების თვითანაზღაურების დონე;

დ) 1964 წლამდე დაამთავროს სახელოსნო, სარკინიგზო, სამშენებლო, ტექნიკური, სპეცპროფტექნიკური სასწავლებლების, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებისა და სამთო-სამრეწველო სკოლების გარდაქმნა ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად;

ე) მოაწიოს 1961—1962 წლებში სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებლებთან თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი სარემონტო სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები შეისწავლიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და საკოლმეურნეო ტექნიკის შეკეთებას;

ვ) საჭირო შემთხვევებში მოაწიოს არსებულ სასწავლებლებთან ფასიანი კურსები, სადაც მოსახლეობა შეისწავლის სხვადასხვა სპეციალობას, რაც საჭიროა შრომითი საქმიანობისათვის და ყოფაცხოვრებაში;

ზ) იმ მიზნით, რომ გვემაზომიერად იქნან უზრუნველყოფილი საწარმოები და მშენებლობები ახალგაზრდა კვალიფიციური მუშებით, აწარმოოს მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ორ ნაკადად — პირველ და მესამე კვარტალებში.

სოფლის პროფესიული სასწავლებლების დაკომპლექტება ჩატარდეს მეოთხე კვარტალში იმ ანგარიშით, რომ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე მოსწავლეებს შეეძლოთ მიიღონ საკ-

F2484

საქართველოს მწერთა კავშირი
საბჭოთა კავშირის წევრი



მათ მომზადება საწარმოო პრაქტიკისათვის. განსაკუთრებით რადღება მიეჭკეს მოსწავლეთა მიღების გადიდებას ადგილობრივი ახალგაზრდობის წრიდან მუშათა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად;

თ) იმისათვის, რომ პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ მტკიცე საწარმოო ჩვევები შესასწავლ პროფესიაში, ჩაატაროს საწარმოო პრაქტიკა, როგორც წესი, უშუალოდ იმ საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების შტატის სამუშაო ადგილებზე, რომლებსთვისაც მოსწავლეებს ამზადებენ, აგრეთვე სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო მეურნეობებში

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, ამიერკავკასიის რეინიგზის სამმართველოს, ტრესტ „ზაქტრანსსტროის“, მთავართბილმშენს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობას:

ა) სისტემატური დახმარება გაუწიონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებასა და განმტკიცებაში, სასწავლო სახელოსნოების, ლაბორატორიებისა და სასწავლო კაბინეტების მოწყობაში, მათ შევსებაში მოწყობილობითა და ინვენტარით, ამასთან უსასყიდლოდ გადასცენ პროფტექნიკურ სასწავლებლებს ბალანსიდან ბალანსზე ჩარხები, მანქანები, მექანიზმები და ხელსაწყოები;

ბ) უზრუნველყონ პროფტექნიკური სასწავლებლები საწარმოო შეკვეთებით, ხოლო ამ შეკვეთების შესასრულებლად—მასალებით, ინსტრუმენტებით, ხელსაწყოებითა და ტექნიკური დოკუმენტაციით;

გ) სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად გამოყონ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში ფასიანი სამუშაო ადგილები და უზრუნველყონ ისინი სათანადო ტექნიკით მოსწავლეთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გასავლელად და გამოყონ მოსწავლეთა დამოუკიდებელი მომსახურებისათვის საწარმოო ობიექტები (საწარმოო ნაკვეთები, პატარა საამქროები, ქვანახშირის ლავეები, სამშენებლო ობიექტები; სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები და ა. შ.);

დ) უზრუნველყონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს სპეცტანსაცმ-



ლით, სპეცეებიტა და სხვა პირობებით საწარმოების ხარისხის გაუმჯობესების პროფესიების მუშების თანაბრად;

ე) გაითვალისწინონ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკებისათვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა საბაზო საწარმოების მუშაკების თანაბრად;

ვ) გაგზავნონ პროფტექნიკურ სასწავლებლებში გამოცდილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რათა გამოყენებულ იქნას ისინი საწარმოო სწავლების ოსტატებად;

ზ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოსთან ერთად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შემდგომი გაფართოება, კვალიფიციურ კადრებზე თავიანთი მოთხოვნილების შესაბამისად, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, განსაკუთრებით საღამოს (ცვლების) პროფტექნიკური სასწავლებლების ქსელისა, რისთვისაც აწარმოონ ახალი შენობების მშენებლობა, გადასცენ ადმინისტრაციული და სხვა შენობები, რომლებიც გამოსადეგია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსაწყობად;

თ) გაითვალისწინონ საბაზო საწარმოთა შრომის წლიური გეგმებით პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მიღება სამუშაოზე;

ი) აწარმოონ სასწავლებელთა შენობების საკურო რემონტი.

იმ შენობების რემონტი, რომლებიც საბაზო საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსზე იმყოფებიან, ჩატარდეს მათ ხარჯზე.

5. გამოეყოს დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს 1961 წელს მასალები და ინვენტარი, დანართის თანახმად.

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 ნოემბრის № 1200 დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად, ნება დაერთოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვანახშირის მრეწველობის კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი ლიმიტების ხარჯზე დაამთავროს 1961 წელს სახელოსნო სასწავლებლების ახალი შენობის მშენებლობა ვალეში.

7. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უზრუნველყოს საბელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გადათარგმნა ქართულ ენაზე და გამოცემა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის (ყოველწლიურად არანაკლებ 150 ნაბეჭდი ფურცლისა), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ-



ქართული
წიგნების
კავშირი

ლი პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს განყოფილებაში
დებით.

8. დაევალოს პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, შეიმუშაოს მოკმედი შტატების ფარგლებში იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ახალი ტიპობრივი შტატები, რომელთა შენახვა წარმოებს როგორც ბიუჯეტის სახსრების ანგარიშში ისე ბიუჯეტ-გარეშე სახსრების ხარჯზედაც, აგრეთვე შეიმუშაოს შტატები საღამოს (ცვლების) სასწავლებლებისათვის.

9. უფლება მიენიჭოს პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს დააწესოს კომპლექტის საერთო ღირებულების ფარგლებში მოსწავლეთა ტანსაცმლის ფორმა და შესაბამისად ნორმა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ქვედა საცვლის მიცემისა მოსწავლეებისათვის, რომლებიც მიღებული არიან სახელმწიფო უზრუნველყოფაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაბაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წ. 6 მაისი, № 283.

დამტკიცებულა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 6 მაისის № 283 დადგინ-
ლებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების შესახებ

1. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მიზნები და ამოცანები

ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები წარმოადგენენ სახელმწიფო სასწავლებლებს და შეიქმნებიან შესაბამისად კანონისა სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, იმ ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური სწავ-



ლებსათვის, რომელიც წარმოებაში მიდის რეაწლიანი მანათლებლო სკოლის დამთავრების შემდეგ.

ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ძირითადი ამოცანაა გეგმაზომიერად და ორგანიზებულად მოამზადოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის კულტურული და ტექნიკურად განათლებული კვალიფიციური მუშები და სოფლის მეურნეობის მუშაკები, კომუნისტურად აღზარდოს მოსწავლეები, იდეურად გამოაწრთოს ისინი და ჩამოაყალიბოს მოსწავლე ახალგაზრდობაში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სპეციალიზაცია ხდება წარმოების დარგების მიხედვით, ისინი ატარებენ სასწავლო-აღზრდობით მუშაობას იმ ანგარიშით, რომ ახალგაზრდობამ აქტიური და სისტემატური მონაწილეობა მიიღოს საწარმოო შრომაში და საწარმოებთან, მშენებლობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან მტკიცე კავშირში.

11. სასწავლებლების მოწყობა და მათი კავშირი წარმოებასთან

1. ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ეწყობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს სისტემაში.

2. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია წარმოებს კვალიფიციური კადრების მომზადების სახელმწიფო გეგმების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

3. ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ:

ა) თანამედროვე სასწავლო-საწარმოო მოწყობილობით, ინსტრუმენტითა და ხელსაწყოებით აღჭურვილი სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, პოლიგონები, სასწავლო გარაეები, რომლებიც საჭიროა ძირითადი პროფესიული ჩვევებისა და ცოდნის დასაუფლებლად;

ბ) სათანადო სასწავლო მოწყობილობითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით აღჭურვილი სასწავლო კლასები, კაბინეტები და ლაბორატორიები (საპრეპარატოროებიანად), სადაც იწარმოებს მეცადინეობა ტექნიკურ და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში, რომლებიც გათვალისწინებულია სასწავლო გეგმებით;



- გ) ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით;
 დ) სადგომები კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ფიზიკურ-კულტურასა და სპორტში მეცადინეობის ჩასატარებლად;
 ე) სასადილო ან ბუფეტი, სამედიცინო პუნქტი, ხოლო საჭირო შემთხვევებში—მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი და სხვა საყოფაცხოვრებო სადგომები.

გარდა ამისა, სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ სასწავლო მეურნეობები საჭირო მიწის ნაკვეთებით, სასწავლო-საწარმოო და საბინაო-საყოფაცხოვრებო ნაგებობებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და პროდუქტიული პირუტყვის სულადობით, რათა მოსწავლეები დაეუფლონ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების, სატრაქტორო აგრეგატების მართვისა და მეცხოველეობაში მექანიზაციის სამუშაოთა ჩატარების ჩვევებს.

სასწავლო მეურნეობათა მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება იმ წესით, რასაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დაადგენს მოსწავლეთა კონტინგენტის, ზონალური პირობებისა და მეურნეობების მიმართულების მიხედვით.

4. სწავლების ვადა ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში წესდება ერთი წლიდან სამ წლამდე, ხოლო სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში—ერთი წლიდან ორ წლამდე შესასწავლი პროფესიების სირთულის მიხედვით, შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით დამტკიცებული ნუსხისა იმ პროფესიებისათვის, რომელთა მიხედვით წარმოებს კვალიფიციური კადრების მომზადება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

აღნიშნული ნუსხის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, განსაზღვრავს თვითიველი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა კონტინგენტებს პროფესიების მიხედვით იმის კვალობაზე, თუ რამდენი სჭირდებათ რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს კვალიფიციური კადრები სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად და როგორია რესპუბლიკისათვის კადრების მომზადების დავალება.

5. თვითიველი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მიემარება ერთ ან რამდენიმე ახლომდებარე საწარმოს, კოლმეურნეობებს,



საბჭოთა მეურნეობებს, სამანქანო-სარემონტო სადგურებს, სასაფლაო-ბლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს და თავის სასწავლო-საწარმოო მუშაობას ატარებს მათს საწარმოო ბაზაზე.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს საბაზო საწარმოებსა და ორგანიზაციებზე მიამატრებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად.

6. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მოსწავლეთა საწარმოო სწავლების პროცესში ასრულებენ სასწავლო სახელოსნოებში უმთავრესად საბაზო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების საწარმოო შეკვეთებსა და დავალებებს, რომლებიც აკმაყოფილებენ სასწავლო პროგრამების მოთხოვნებს, ყოველნაირად უწყობენ ხელს საბაზო საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების საწარმოო გეგმების შესრულებას. საწარმოო დავალებებისა და შეკვეთების შესრულება როგორც სასწავლო სახელოსნოებში, ისე წარმოებაში ექვემდებარება განსაზღვრული პროფესიების კვალიფიკაციურ მუშათა მომზადების ამოცანას, ამასთან გათვალისწინებულია აგრეთვე შემოსავლის მიღება სასწავლებლის ნაწილობრივი თვითანაზღაურების მიზნით.

ხელმძღვანელობენ რა სასწავლო გეგმებით, სასწავლებლები გზავნიან მოსწავლეებს საწარმოო პრაქტიკისათვის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე და სხვა ორგანიზაციებში, როგორც წესი, სასწავლებლის ადგილსამყოფელის მიხედვით, ურთიერთ შეთანხმებულ ვადებში მას შემდეგ, რაც წინასწარ გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას სასწავლო სახელოსნოებში, პოლიგონებზე, სასწავლო მეურნეობებში, უბნებზე და ა. შ. სასწავლო სახელოსნოებსა და სასწავლო მეურნეობებში მუშაობის დროს მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სპეცტანსაცმლით სასწავლებლის ხარჯზე.

სასწავლებლები უზრუნველყოფენ, რომ მოსწავლეებმა ხარისხიანად და თავის დროზე შეასრულონ დავალებული საწარმოო სამუშაოები, გაუფრთხილდნენ საწარმოო მოწყობილობას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, ინსტრუმენტს, ხელსაწყოებს, მომპირნეობით ხარ-



ჯონ მასალეზი, საწვავი და ელექტროენერგია, აგრეთვე დაიგეგმება განაწესი და უსაშიშროების ტექნიკა.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-პედაგოგიური მუშაეები სასწავლო-მეთოდურ დახმარებას უწევენ საწარმოებს, იმ მხრივ, რომ მოამზადონ წარმოებაში მუშები და აამაღლონ მათი კვალიფიკაცია.

7. საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციები, რომლებზედაც მიმავრებული არიან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, ქმნიან პირობებს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ წარმატებით ჩატარდეს სასწავლო პროცესი და მოსწავლეებმა აითვისონ ახალი ტექნიკა, მოწინავე ტექნოლოგია და შრომის მაღალმწარმოებლური ზერხები.

აღნიშნული საწარმოები და ორგანიზაციები საჭირო შემთხვევებში უსასყიდლოდ გამოუყოფენ სასწავლებლებს მათს ძირითადს საშუალებებში რიცხული მოწყობილობიდან თანამედროვე საწარმოო მოწყობილობას, სასწავლო სახელოსნოებისათვის, პოლიგონებისათვის, ლაბორატორიებისა და სასწავლო კაბინეტებისათვის იმ მოწყობილობის დამატებით, რასაც სასწავლებლები იღებენ მომარაგების გეგმებით, გამოუყოფენ სასწავლო უბნებს წარმოებაში, აძლევენ სასწავლებლებს საწარმოო შეკვეთებს, რათა შესრულდეს ისინი მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დროს სასწავლო სახელოსნოებსა და სასწავლო უბნებზე, აძლევენ ამ შეკვეთების შესასრულებლად მასალებს, ინსტრუმენტებსა და ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას უწევენ მათ შეკვეთების შესრულების დროს.

სოფლის ახლადმოწყობილ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მოწყობილობითა და ინვენტარით უზრუნველყოფს, აგრეთვე მოძველებულ ტექნიკასა და მოწყობილობას ახალი ტექნიკითა და მოწყობილობით შეცვლის მოქმედ სასწავლებლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო საბიუჯეტო ასიგნობათა ხარჯზე, აგრეთვე შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დამატებით მიღების ხარჯზე.

საწარმოო პრაქტიკის გასაეღულად საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო-სარემონტო სადგურები, სამშენებლო სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციები გამოუყოფენ სასწავლებლებს საჭირო რაოდენობის ფასიან სამუშაო ადგილებს



და უზრუნველყოფენ მოსწავლეებს ისეთი სამუშაოებით, რომლებშიც აქმაყოფილებენ, სასწავლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად უსაშიშრო პირობებს მოსწავლეთა მუშაობისათვის წარმოებაში, დადგენილი წესით აანაზღაურებენ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ სამუშაოებს საწარმოებში მოქმედი შეფასებების ან მუშათა დროებრივი განაკვეთების მიხედვით, აძლევენ მოსწავლეებს საწარმოო პრაქტიკის პერიოდში საწარმოთა და ორგანიზაციათა ხარჯზე სპეცტანსაცმელს, სპეცფეხსაცმელს, დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებს და სპეცკეპას შესაბამისი პროფესიის მუშებისათვის დაწესებული ნორმებით და საჭირო შემთხვევებში უზრუნველყოფენ თავის ხარჯზე ან საკუთარი ტრანსპორტით მოსწავლეთა მიყვანას საწარმოო პრაქტიკის ადგილზე უკან დაბრუნებით, ან უზრუნველყოფენ მოსწავლეებს საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით საწარმოო პრაქტიკის გავლის ადგილზე. პრაქტიკის ადგილზე საწარმოო სწავლების ოსტატების მიყვანის და მათი უკან დაბრუნების ხარჯების ანაზღაურება, აგრეთვე მათთვის დღიურების მიცემა წარმოებს სასწავლებლის ხარჯზე.

8. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სწავლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს ვზავნიან სპეციალობის მიხედვით სამუშაოდ წარმოებაში, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესაბამისად.

9. საწარმოები, სამშენებლო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანიზაციები აწარმოებენ მათზე მიმავრებულ სასწავლებელთა შენობების საჭირო რემონტს, ამასთან აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსზე არსებული სადგომების რემონტს ტარდება მათ ხარჯზე.

III. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი

10. მოსწავლეთა სწავლება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ტარდება თვითეული პროფესიისათვის ერთიანი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში შეიტანება საწარმოო და თეორიული სწავლება და მოსწავლეებთან კლასიკარეშე მუშაობა.

11. საწარმოო სწავლება წარმოადგენს მოსწავლეთა პროფესიული მომზადების საფუძველს. იგი ხორციელდება მოსწავლეთა მიერ სასწავლო-საწარმოო და პრაქტიკული სამუშაოების შესრულების



საქართველოს
წიგნების კავშირი

პროცესში სასწავლო სახელოსნოებში, პოლიგონებზე, სახელოსნოებში, რეზინოტექნიკურ საწარმოებში, ლაბორატორიებში, აგრეთვე პრაქტიკის პერიოდში უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებში სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატთა ხელმძღვანელობით.

საწარმოო სწავლების პროცესში მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავდეთ მტკიცე პროფესიული ჩვევები და ცოდნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებას, უნარი იშრომონ მაღალმწარმოებლურად, თანამედროვე ტექნიკის და შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებით, უნდა გამოუმუშავდეთ შეგნებული საწარმოო დისციპლინა, შრომის მაღალი კულტურა, ნოკატორობისადმი მისწრაფება და მოწინავე საბჭოთა მუშისა და სოფლის მეურნეობის მუშაკის სხვა თვისებები.

12. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში თეორიული სწავლება ხორციელდება პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში და შეიცავს სპეციალური ტექნოლოგიური, ზოგადტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესწავლას, რომლებიც საჭიროა შესასწავლი პროფესიის ღრმად, ყოველმხრივ და შეგნებულად დაუფლებისათვის, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტექნიკური და იდეურ-პოლიტიკური განვითარებისათვის.

თეორიული დისციპლინების სწავლება წარმოებს საჭირო თვალსაზრისით ხელსაწყოებითა და მოწყობილობით აღჭურვილ კაბინეტებში, ლაბორატორიებსა და კლასებში.

თეორიული სწავლების პროცესში მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ ტექნიკის, ტექნოლოგიის, აგრო და ზოოტექნიკის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, წარმოების მოცემული დარგის ორგანიზაციისა და ეკონომიკის მეცნიერული საფუძვლების ღრმა ცოდნა, უნდა ისწავლონ მიღებული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საწარმოო ამოცანები; შეიძინონ ტექნიკურ ლიტერატურასა, ცნობარებსა და კატალოგებზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები, აგრეთვე აიმაღლონ თავიანთი პოლიტიკური განათლება. სასწავლებლებში აგრეთვე ფართოდ უნდა გაიშალოს მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების წრეების მუშაობა.

13. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სისტემატურად ტარდება მოსწავლეებთან აღზრდელობითი მუშაობა, რაც მიმართულია მათში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, კენ, მათი აღზრდისაკენ შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის აქტი-



ურ მებრძოლებად, კომუნისტური საზოგადოების შეგნებულ ლეზბიანობად, რომელთაც უსაზღვროდ უყვართ თავიანთი სამშობლო და უნარი შესწევთ იცხოვრონ და იმუშაონ კომუნისტურად.

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა ხორციელდება მათი საწარმოო და თეორიული სწავლების პროცესში, სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობის პროცესში, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და მოსწავლეთა სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, რისთვისაც უნდა ჩატარდეს ფორმებისა და შინაარსის მიხედვით სხვადასხვაგვარი კლასგარეშე მუშაობა, რაც მოეწყობა სასწავლებლების მოსწავლეთა კოლექტივების შემოქმედებითი ინიციატივისა და ფართო თვითმოქმედების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის, თვითმომსახურების ფართოდ განვითარების საფუძველზე.

14. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა ხორციელდება როგორც ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე, ისე კლასგარეშე სპორტულ-ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ განვითარების გზითაც, მოსწავლეთ: სწორად მოწყობილი შრომისა და დასვენების, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ მუშაობაში მათი აქტიური მონაწილეობის პროცესში.

15. მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა ხორციელდება მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში და მისი მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურული დონის ამაღლება და მასში კარგი მხატვრული გემოვნების გამომუშავება.

ამ მიზნებს ემსახურება მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების სხვადასხვა ფორმების ფართოდ გაშლა სასწავლებლებში.

16. საწარმოო და თეორიული სწავლების გასაველეად მოსწავლეები გაერთიანდებიან პროფესიების მიხედვით ერთგვაროვან სასწავლო ჯგუფებად. სასწავლო ჯგუფების მოსწავლეთა რაოდენობა წესდება 25-30 კაცის რაოდენობით.

ისეთი პროფესიების საწარმოო სწავლებას, რომლებიც დაკავშირებულია რთული მოწყობილობის, რთული სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების მომსახურებასთან, საშიში ან განსაკუთრებით რთული სამუშაოების შესრულებასთან, დადგენილი წესით დამტკიცებული სიების თანახმად, მოსწავლეები გადიან ჯგუფებად 12-15 კაცის შემადგენლობით.



17. მეცადინეობა საწარმოო სწავლებასა და თეორეტიკულ-პრაქტიკულ ტარდება ცხრილის მიხედვით ოსტატებისა და მასწავლებელთა ხელმძღვანელობით. მეცადინეობაზე ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული მოსწავლეთა მუშაობის ზოგადგუფობრივი, ბრიგადული, რგოლური და ინდივიდუალური ორგანიზაცია და სასწავლო მუშაობის სხვადასხვაგვარი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცოდნისა და პროფესიული ჩვევების შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებას, აგრეთვე იმის უნარს, რომ გამოიყენონ მიღებული ცოდნა წარმოებაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თვალსაჩინო ხელსაწყოებით ფართოდ სარგებლობას, კინოს, ტელევიზიისა და სხვა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებას სასწავლო აღმზრდელობით პროცესში.

18. მოსწავლეთა მოსწრება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შეფასდება ციფრობრივი ხუთბალიანი სისტემით. ცოდნისა და ჩვევების შემოწმება ხორციელდება სასწავლებლებში მიმდინარე, პერიოდული და შეჯამებითი აღრიცხვის სხვადასხვა ფორმებით.

19. სწავლების სრული კურსის დამთავრების შემდეგ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები აბარებენ გამოსაშვებ საკვალიფიკაციო გამოცდებს.

გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდების ჩასატარებლად სასწავლებლებში შეიქმნება საგამოცდო კომისიები, რომლებშიც შედიან: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს წარმომადგენელი, წარმოების კვალიფიციური სპეციალისტები, სასწავლებლების მუშაკები, აგრეთვე საბაზო საწარმოების ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. საჭირო შემთხვევებში კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იქნებიან აგრეთვე საბჭო-ტექნიკური ზედამხედველობის ორგანიზაციების, ავტონისპექციისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საგამოცდო კომისიის პერსონალურ შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო.

მოსწავლეებს, რომლებმაც დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და ჩააბარეს გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდები, მიეკუთვნებათ საწარმოო კვალიფიკაცია და მიეცემათ დაწესებული ნიმუშის ატესტატი.

მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ საწარმოო სწავლებაში და სასწავლო გეგმის სხვა საგნების სულ ცოტა 75 პროცენტში შეჯამებითი



შეფასება „5“ და დანარჩენ საგნებში შეფასება „4“, აგრეთვე წარმოდგენილი ლეხმაც გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდები ჩააბარეს შეფასებით „5“ (წარჩინებული ყოფაქცევით). მიეცემათ წარჩინების ატესტატი და ქების სიგელი.

საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციები მოვალენი არიან გამოიყენონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი მათთვის მიკუთნებული პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, აგრეთვე შეუქმნან ახალგაზრდა მუშებს საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და შემდეგში ხელი შეუწყონ მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებას.

IV. მოსწავლეები

20. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან ჰაბუკეები და გოგონები უმთავრესად ადგილობრივი ახალგაზრდობის რიცხვიდან, რომლებმაც დაამთავრეს რეაწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და რომელნიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით აკმაყოფილებენ მიღების პირობებს.

როდესაც ხდება ახალგაზრდობის მიღება სასწავლებლებში ისეთი პროფესიების შესასწავლად, რომლებიც დაკავშირებულია მანე, მძიმე და საშიში სამუშაოების შესრულებასთან, მტკიცედ უნდა იქნას გათვალისწინებული შრომის კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვები სქესის, ასაკისა და ჯანმრთელობის მიხედვით.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მიღების წესებს დაადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო.

21. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები მოვალენი არიან ბეჭითად იშწავლონ და მტკიცედ დაეუფლონ პროფესიას, იყენენ დისციპლინიანი, განუხრელად შეასრულონ ყოფაქცევის დადგენილი წესები, დაიცვან სასწავლებლის ღირსება.

22. სასწავლებლის სასწავლო-პედაგოგიური მუშაკები ეწევიან მუშაობას იმისათვის, რომ შეამჭიდროვონ მოსწავლეთა ერთიან კოლექტივად.

23. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლება უფასოა. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფა დადგენილი წესით წარმოებს.

24. იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები-სათვის, სადაც სწავლების ვადა განსაზღვრულია ორი და სამი წლით,



დაწესებულია ყოველწლიურად ზამთრისა და ზაფხულის არდადეგებში ორი თვის საერთო ხანგრძლიობით, ხოლო სადაც არაა დადგენილი ვადა განსაზღვრულია ერთი წლით — ზამთრის არდადეგები ორი კვირის ხანგრძლიობით. სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში არდადეგების დროს დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს მიეცემათ შვებულება იმ საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ორგანიზაციების ხარჯზე, სადაც ისინი იგზავნებიან სამუშაოდ, ამასთან შვებულება ანაზღაურდება ახლადგამოშვებულისათვის მიკუთვნებული საკვალიფიკაციო თანრიგის სატარიფო განაკვეთის ან შენაბამისი თანამდებობრივი სარგოს მიხედვით.

აღნიშნული შვებულება მიეცემათ 18 წლის ასაკზე ნაკლებ ახლადგამოშვებულებს ერთი თვის ხანგრძლიობით, ხოლო ყველა დანარჩენ გამოშვებულს — იმ ხანგრძლიობით, რაც დაწესებულია საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და ორგანიზაციებში მოცემული პროფესიისა და სპეციალობის მუშაკებისათვის.

25. იმ პირებს, რომლებმაც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს, ამ სასწავლებლებში სწავლის დრო ჩათვლებათ შრომის საერთო და განუწყვეტელ სტაჟში.

V. სასწავლებლის ხელმძღვანელობა, საწარმოო სწავლების ოსტატები და მასწავლებლები

26. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო დანიშნავს იმ პირთა რიცხვიდან, რომლებსაც აქვთ, როგორც წესი, სასწავლებლის პროფილის შესაბამისი უმაღლესი განათლება, და ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში მუშაობის გამოცდილება.

დირექტორი ახორციელებს სასწავლებლის ხელმძღვანელობას და პასუხისმგებელია მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდისათვის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, სასწავლებლის სასწავლო-საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისათვის და კვალიფიკაციურ მუშათა მომზადების გეგმის შესრულებისათვის. იგი უზრუნველყოფს კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებას, სასწავლებლის დაკომპლექტებას მოსწავლეებით, პასუხის-



მგებელია იმისათვის, რომ შეიქმნას საკურო სასწავლო-მატერიალური ბაზა სასწავლებლის მუშაობისათვის და ნორმალურად მოეწყოს ცხოვრებო პირობები მოსწავლეებისათვის.

დირექტორი ხელმძღვანელობს პედაგოგიური კოლექტივის მუშაობას და ხელს უწყობს მასწავლებლებისა და საწარმოო სწავლების ოსტატების კვალიფიკაციის ამაღლებას და პედაგოგიური ოსტატობის ზრდას, წარმართავს მოსწავლეთა კოლექტივის საქმიანობას და ყოველგვარ დახმარებას უწევს მათი ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას.

დირექტორი ხელმძღვანელობს უწევს სასწავლებელს კოლექტივობასთან ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, ამასთან ეყრდნობა სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

27. სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო მუშაობის ხაზით უშუალოდ ხელმძღვანელობს სასწავლებლის სასწავლო და საწარმოო საქმიანობას, ხელმძღვანელობსა და კონტროლს უწევს პედაგოგიური პერსონალის მუშაობას, აწყობს მეთოდურ მუშაობას სასწავლებელში, ასრულებს სასწავლებლის დირექტორის მოვალეობას მისი არყოფნის დროს.

სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს დანიშნავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო სასწავლებლის დირექტორის წარდგენით იმ პირობა რიცხვიდან, რომელთაც აქვთ, როგორც წესი, სასწავლებლის პროფილის შესაბამისი უმაღლესი განათლება და ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში მუშაობის გამოცდილება.

28. დირექტორის თანაშემწე კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით უშუალოდ ხელმძღვანელობს აღმზრდელობითს და კულტურულ-მასობრივ მუშაობას სასწავლებელში, დახმარებას უწევს ოსტატებსა და მასწავლებლებს იმ მხრივ, რომ კომუნისტურად აღზარდონ მოსწავლეები საწარმოო და თეორიული სწავლების პროცესში, აწყობს კლასგარეშე ღონისძიებებს მოსწავლეებთან, ატარებს მუშაობას პედაგოგიურ კოლექტივთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტით, და ფართოდ იყენებს თვით მოსწავლეთა ინიციატივას.

დირექტორის თანაშემწეს კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით დანიშნავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართ-



ველო სასწავლებლის დირექტორის წარდგენით იმ პირობებში, რომელთაც აქვთ უმაღლესი და საშუალო განათლება და ახალგაზრდობაში აღმზრდელი მუშაობის გამოცდილება.

29. სასწავლებლის უფროსი ოსტატი უზრუნველყოფს მოსწავლეთა საწარმოო სწავლების სწორ ორგანიზაციას და ჩატარებას სასწავლებლის სასწავლო სახელოსნოებსა და სასწავლო მეურნეობაში, საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში; პასუხისმგებელია სასწავლებლისათვის დაწესებული საწარმოო გეგმების შესრულებისა და შეკვეთების შესრულებისათვის, აგრეთვე უსაშიშროების ტექნიკის და შრომის დაცვის წესების დაცვისათვის; უშუალოდ ხელმძღვანელობს საწარმოო სწავლების ოსტატთა და სასწავლებლის საწარმოო პერსონალის მუშაობას.

უფროს ოსტატს დაინიშნავს სასწავლებლის დირექტორი იმ პირობებში, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება, რაც სასწავლებლის პროფილს შეესაბამება, მაღალი საწარმოო კვალიფიკაცია და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ხაზით მუშაობის გამოცდილება.

30. სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო მეურნეობის გამგე უზრუნველყოფს მეურნეობის სწორად გაძღოლას და მისი დარგების განვითარებას მოსწავლეთა საწარმოო სწავლების ამოცანების შესაბამისად, პასუხისმგებელია სასწავლო მეურნეობის საწარმოო საფინანსო გეგმის შესრულებისათვის. სასწავლო მეურნეობის გამგეს დაინიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო სასწავლებლის დირექტორის წარდგენით იმ პირობებში, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლება და სპეციალობის მიხედვით მუშაობის საწარმოო სტატი.

31. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლები დაინიშნებიან იმ პირობებში, რომელთაც აქვთ სათანადო სპეციალობის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება შესაბამის სპეციალობაში.

საწარმოო სწავლების ოსტატები დაინიშნებიან იმ პირობებში, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება, მაღალი საწარმოო კვალიფიკაცია და მუშაობის გამოცდილება მოცემულ პროფესიაში არანაკლებ სამი წლისა.



საწარმოო სწავლების ოსტატებად შეიძლება დანიშნულ იქნას მალაკალიფიციური მუშებიც, რომელთაც აქვთ საერთო სასწავლო განათლება და მუშაობის სტაჟი მოცემულ პროფესიაში ხუთი წლისა.

საწარმოო სწავლების ოსტატები და მასწავლებლები უშუალო პასუხისმგებელი არიან მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ხარისხისათვის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის.

ოსტატებსა და მასწავლებლებს დანიშნავს სასწავლებლის დირექტორი.

32. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მუშაკთა საერთო შტატი განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული სამშატრო ცხრილით.

VI. პედაგოგიური საბჭო და მეთოდური მუშაობა სასწავლებლებში

33. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელითი პროცესისადმი კოლექტიური პედაგოგიური ხელმძღვანელობის განსახორციელებლად შეიქმნება პედაგოგიური საბჭო, რომელიც განიხილავს სასწავლო, საწარმოო და აღმზრდელითი მუშაობის ძირითად საკითხებს.

პედაგოგიური საბჭოს წევრები არიან სასწავლებლის დირექტორი (თავმჯდომარე), სასწავლებლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საწარმოო მუშაობის ხაზით, სასწავლებლის დირექტორის თანაშემწე კულტურულ-აღმზრდელითი მუშაობის ხაზით, უფროსი ოსტატი, საწარმოო სწავლების ოსტატი, მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვა პედაგოგიური მუშაკები, სასწავლო მეურნეობის გამგე, სასწავლებლის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, აგრეთვე საბაზო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები.

34. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სისტემატურად ტარდება მეთოდური მუშაობა, რომლის ძირითადი ფორმებია მეთოდური კომისიები პროფესიებისა და საგნების მიხედვით, მეთოდური თათბირები და სემინარები, აგრეთვე ინდივიდუალური მეთოდური მუშაობა.

მეთოდური კომისიების, სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების ხელმძღვანელები დაინიშნებიან სასწავლებლის ყველაზე გამოცდილი მასწავლებლებისა და საწარმოო სწავლების ოსტატთა რიცხვიდან.

VII. სასწავლებლის სახსრები

35. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები იმყოფებიან სახელმწიფო ბიუჯეტზე და მათ აქვთ ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს მიერ. სასწავლებლების საწარმოო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ნაწილი შეიტანება დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტში, რათა ნაწილობრივ ანაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები მათი შენახვისათვის.

საბიუჯეტო ასიგნობების გარდა, სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს აქვთ სპეცსახსრების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს მიერ დამტკიცებული დადგენილი წესით.

36. სასწავლებლის სასწავლო ბაზის გასაფართოებლად, მოსწავლეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე საუკეთესო მოსწავლეთა და მუშაკთა წსახალი-სებლად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების განკარგულებაში რჩება დადგენილი წესით სასწავლებლის საწარმოო საქმიანობისაგან მიღებული შემოსავლის ნაწილი.

სასწავლო სახელოსნოებისა და სასწავლო მეურნეობების საწარმოო საქმიანობის გასაფართოებლად სასწავლებლებს საჭირო შემთხვევებში მიეცემა შესაბამისი საბრუნავი სახსრები.

37. სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო მეურნეობის შენახვა ხდება სპეცსაშუალებათა ხარჯთაღრიცხვით, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო. სასწავლო მეურნეობის მოგებას სასწავლებელი გამოიყენებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

38. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ქონება (შენობები, მოწყობილობა, ინვენტარი და ა. შ.) წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და მისი განსხვავება ან გადაცემა შეიძლება მოხდეს მხოლოდ დადგენილი წესით.

39. პროფესიული სასწავლებლები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, მათ აქვთ ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და სასწავლებლის სახელწოდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 6 მაისის № 283
დადგენილების დანართი

ნ უ ს ს ბ

მასალებისა, რომლებიც პროფტექნიკური განათლების მთავარ
სამშართველოს გამოეყოფა 1961 წელს

მასალების დასახელება	ზოგადი ფუნტი	რეკვირის ფუნტი	ვის ხარჯზე დაიფარება მოთხოვნილება	მომწოდებელია დასახელება	მიწოდებელია დასახელება
ცემენტი	ტონა	60	წერილ მომწარებელია ფონდის	საქართველოს სსრ მინი- სტრთა საბჭოსთან არსებუ- ლი პროფტექნიკური განა- თლების მთავარი სამშარ- თველო	საქართველოს სსრ მინი- სტრთა საბჭოს მომწარებე- ლის ვისაღების მიხედვით სსრ- მართველო
ლინოლეუმი	კვ. მ.	100	სსრპ საექსპლუატაციო ფონდის		
შიფერი	აბაჯის პირი- ბითი ფუნტი	15			
კალკულუმის კარბიდი	ტონა	1.5	წერილ მომწარებელია ფონდის		
ფტორობოლის საღებო "გი- განტი"	კალი	50			
მლნათორები	"	3000			
შელაქი	კვ.	30			
ტუალეტის ოწყანები	კალი	100			
ოლიფა ოქსოლი	ტონა	3,0			
კარტი	"	15			





შესაღების დასახელება	სამსმისიყმ ისის	დღაემშაყ	ვის ზარზე დაიფარება მოთხოვნლება	მომმარბელთა დასახლება	მიმწოდებელთა დასახლება
აგური	ათ. ცალი	50	შემდეგი - ქარხნების წერილ მომმარბელთა ფონდის:	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომარბეება- გასაღების მთავარი სამ- მართველო
ძაღვი და ზონარი ასბესტისა	მ.	30	ბურჯანის — 10 ათასი სამტრუდიის — 20 ათასი ცალი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკური განათლების მთავარი სამმართველო	"
საწერი მანქანა	ცალი	10	წერილ მომმარბელთა ფონდის	"	"
ქართული შრიფტი	კომპ.	5	"	"	"
სასაბნე ქსოვილები ზაშვისა სახურავი ფურცლოვანი ფოლადი	მან.	1500	"	"	საქტექსტილკარბება
გაზის მილები	ტონა	5	რეზერვის	"	საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარ- ბეება-გასაღების მთავარი სამმართველო
შეწობილი ფანერა	"	5	"	"	"
განსათებელი ზონარი	ფუბ. მ.	5	"	"	"
ეთილის სპირტი	კმ.	10	"	"	"
	დეკალიტ.	5	"	"	"

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. შირაძაძე.



45 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის № 165 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის № 165 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 1 თებერვლის № 42 დადგენილებაში „აეტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის, შშრო-მელთა დეპუტატების საოლქო აღმასკომებისა და საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის გადაცემის შესახებ“:

ა) ბირველი განაყოფის მუხლი 30 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შექმნან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდები ფართო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის მუშაობისა და წასახალისებლად საოლქო, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოების იმ მოგების 0,2 პროცენტის რაოდენობით, რაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის გაფართოებას ხმარდება“;

ბ) მეორე განაყოფის მე-8 და მე-9 მუხლები ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „დ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილება „კოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“;

ბ) მუხლები 6 და 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 3 ნოემბრის № 634 დადგენილებისა „ჩამდინარე გაუწმენდავი წყლების გაშვებისათვის საწარმოებზე ჭარიმის დადების წესისა და ამ ჭარიმის გადახდევინებისაგან შემოსული სახსრების გამოყენების წესის შესახებ“.



3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის № 165 დადგენილებით დამტკიცებულია ცვლილებანი და ნუსხა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ძალადაქარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილებასთან დაკავშირებით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წ. 19 მაისი, № 293

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 19 მაისის № 293
დადგენილების დანართი № 1
დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის
№ 165 დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილებასთან დაკავშირებით

1 „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილების დანართში „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადაცემული საკითხები“:

ა) მუხლი 46 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„46. შექმნან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა დაჯილდოების ცენტრალიზებული ფონდები მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა ათვისებისა და მასობრივი გამოშვებისათვის მუშაკთა წასახალისებლად საოლქო, საქალაქო და რაიონული დაქვემდებარების საწარმოების იმ მოგების 0,5 პროცენტის რაოდენობით, რაც სსრ



კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი კვლევითი და მკვლევარების მრეწველობის გაფართოებას ხმარდება“;

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხლები 17 დ 39.

2. „მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრების ანგარიშში ლიმიტგარეშე კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 სექტემბრის № 1734 დადგენილების მე-3 მუხლის პირველ აბზაცში გამოირიცხოს სიტყვები: „სატიტულო სიები და“.

3. მე-2 მუხლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 13 აპრილის № 492 დადგენილებისა „ფართო მოხმარების იმ საქონლის რეალიზაციისაგან მიღებული მოგების გამოყენების წესის შეცვლის შესახებ, რომელიც წარმოების ნარჩენებისაგან მზადდება“, სიტყვები: „წარმოებს მხოლოდ იმ პირობით, თუ სამუშაოთა დაწყების დროისათვის ყველა ამ წყაროს მიხედვით მოიპოვება მშენებლობის დასაფინანსებლად საჭირო სახსრები მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით: „დაიწყება მხოლოდ იმ პირობებში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 19 მაისის № 293
დადგენილების დანართი №2
დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრ-
თა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის
№ 165 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის შთავრების გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1932 წლის 15 თებერვლის № 170 დადგენილება „ჩამდინარე წყლების გაშვებისათვის საწარმოთა გადასახდელების შესახებ“.

2. მუხ. 6 სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 22 ივნისის № 1160 დადგენილებისა.

3. მუხ. 5 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 15 სექტემ-



ბრის № 1286 დადგენილებისა „ჩამდინარე გაუწმენდავ მდებარეობისა და გაშვებისათვის საწარმოებზე ჯარიმის დადების წესისა და ამ ჯარიმის გადახდევინებისაგან შემოსული სახსრების გამოყენების წესის შესახებ“.

46 იმ საბუთების ნუსხის შევსების შესახებ, რომელთა მიხედვითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილებით დამტკიცებულ საბუთების ნუსხას, რომელთა მიხედვითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების საფუძველზე, დაემატოს შემდეგი შინაარსის 36-ე მუხლი:

„36. საბუთებზე, რომლებითაც დადგენილია, რომ მიუხედავად დაქირავების ვადის გავლის შემდეგ მიცემული გაფრთხილებისა დამქირავებელმა არ დაუბრუნა დამქირავებელ პუნქტს დროებითი სარგებლობის ვალდებულებით მიღებული ნივთი.

აღნიშნულ საბუთებზე სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნას:

ა) დამქირავებლის ვალდებულება ქირავნობით მიღებული ნივთის დაბრუნების შესახებ (დედანი) მისი საპრეისკურანტო ფასის, დაქირავების ვადისა და ქირის ოდენობის აღნიშვნით.

ბ) დამქირავებლისათვის გაგზავნილი გაფრთხილების ასლი იმის შესახებ, რომ თუ დაქირავებული ნივთი 5 დღის ვადაში არ იქნება დაბრუნებული, იმ შემთხვევაში ნივთის ღირებულება და ქირა მას გადახდება სანოტარო ორგანოს სააღსრულებო წარწერით მოსახლეობისათვის ნივთების ქირით მიცემის წესების შესაბამისად.



გ) გამჭირავებელი პუნქტის ხელმძღვანელისა და ხელმოწერით შემოწმებული ანგარიშსწორების ფურცელი დადგენილი იქნება დავალიანების ოდენობა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წ. 27 მაისი, № 318

47 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის № 253 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 30 სექტემბრის № 1078 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„ავტომობილებისათვის საცხები მასალების ხარჯის ნორმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 სექტემბრის № 1042 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის № 253 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 30 სექტემბრის № 1078 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მუხლი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 30 სექტემბრის № 1078 დადგენილებისა „ავტომობილებისათვის ავტობენზინისა და საცხები მასალების ხარჯის ნორმების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების დანართი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წ. 27 მაისი, № 320



48

საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ხრეშისა და ქვიშის მოპოვების მოწესრიგების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი აკრძალვებისა და შეზღუდვების მიუხედავად, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცალკეული დადგენილებებითა და განკარგულებებით, ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული ხრეშისა და ქვიშის უგეგმო დამუშავება შავი ზღვის სანაპიროზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფარგლებში.

ზოგიერთი სამშენებლო და სხვა ორგანიზაცია, აგრეთვე კოლმეურნეობები და კერძო პირები ხშირად არაორგანიზებული წესით ქმნიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ და მდინარეთა კალაპოტებში ბალასტის, ხრეშისა და ქვიშის მოპოვების თავიანთ საკარიერო მეურნეობებს.

ხრეშისა და ქვიშის ამოღება წარმოებს აკრძალულ უბნებზედაც კი: გულრიფში (საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 სამშენებლო ტრესტის კარიერი), ვაგრაში (ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კარიერი — 1961 წლის მარტსა და აპრილში), ქობულეთ-ფიჭვნარში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარ სამმართველოს საგზაო-სამშენებლო სამმართველო № 7) და სხვ.

იმის შედეგად, რომ ზღვის სანაპირო ზოლში წარმოებს ქვის მასალის მასობრივი ამოღება, რაც აღემატება იმ მდინარეთა მაგარი ჩანადენის ოდენობას, რომლებიც ზღვას ერთვის, ხდება პლაჟების ინტენსიური შემცირება, რაც წარმოადგენს ნაპირის ცალკეული უბნების წარცხვის, საქალაქო და საკურორტო ნაგებობების დანგრევის ერთერთ მთავარ მიზეზს (ვაგრა, სოხუმი, ოჩამჩირე, ფოთი და სხვ.).

საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და პლაჟების დაცვის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი საქართველოს სსრ იმ ტერიტორიაზე ინერტული მასალების წარმოებისათვის, რომელიც შავ ზღვას ეკვრის, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასა-



48 საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროზე ხრეშისა და ქვიშის მოპოვების მოწესრიგების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელი რიგი აკრძალვებისა და შეზღუდვების მიუხედავად, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცალკეული დადგენილებებითა და განკარგულებებით, ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული ხრეშისა და ქვიშის უგეგმო დამუშავება შავი ზღვის სანაპიროზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფარგლებში.

ზოგიერთი სამშენებლო და სხვა ორგანიზაცია, აგრეთვე კოლმეურნეობები და კერძო პირები ხშირად არაორგანიზებული წესით ქმნიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ და მდინარეთა კალაოტებში ბალასტის, ხრეშისა და ქვიშის მოპოვების თავიანთ საკარიერო მეურნეობებს.

ხრეშისა და ქვიშის ამოღება წარმოებს აკრძალულ უბნებზედაც კი: გულრიფშში (საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 სამშენებლო ტრესტის კარიერი), გავრაში (ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კარიერი — 1961 წლის მარტსა და აპრილში), ქობულეთ-ფიქვნარში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარ სამმართველოს საგზაო-სამშენებლო სამმართველო № 7) და სხვ.

იმის შედეგად, რომ ზღვის სანაპირო ზოლში წარმოებს ქვის მასალის მასობრივი ამოღება, რაც ალემატება იმ მდინარეთა მაგარი ჩანადენის ოდენობას, რომლებიც ზღვას ერთიან, ხდება პლაჟების ინტენსიური შემცირება, რაც წარმოადგენს ნაპირის ცალკეული უბნების წარცხვის, საქალაქო და საკურორტო ნაგებობების დანგრევის ერთერთ მთავარ მიზეზს (გავრა, სოხუმი, ოჩამჩირე, ფოთი და სხვ.).

საქართველოს სსრ ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და პლაჟების დაცვის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ლონისძიებანი საქართველოს სსრ იმ ტერიტორიაზე ინერტული მასალების წარმოებისათვის, რომელიც შავ ზღვას ეკერის, დანართის თანახმად.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასა-



საქართველოს
 მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29
 მაისის № 328 დადგენილებით

ლონისძიებასი

ინერტული მასალების წარმოებისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, რომელიც შავ ზღვას ეკვრის

1. ხრეშისა და ქვიშის დამუშავება მდინარე ფსოუს კალაპოტში მოხდეს განსაზღვრული რაოდენობით და იმ წესით, რაც დადგენილია ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის ლიანდაგის სამსახურისა და საქართველოს სსრ წყლის რესურსების სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენელთა შემადგენლობით შექმნილი კომისიის 1960 წლის 22 დეკემბრის აქტით.

აღნიშნული აქტის თანახმად, შეიძლება დამუშავებულ იქნას მხოლოდ ის უბნები, სადაც ჩაწოლილია მკვდარი მთელანების კაქარ-კენჭოვანი ნალექები მდინარე ფსოუს ნარწყულში.

2. ნებადართულ იქნას ხრეშისა და ქვიშის დამუშავება:

ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა ს ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

მდინარე ბზიფის ნარწყულზედა ტერასაზე, მისი შესართავის რაიონში — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ლორღის ქარხნისათვის;

მდინარე ბზიფის ნარწყულზედა ტერასაზე, გზატკეცილის ხიდიდან (ბიჭვინთის) და ზემოთ მდინარის დინების მიმართულებით — ტრესტ ბიჭვინთმშენის საჭიროებისათვის, ნაცვლად პლაყის იმ ზოლისა, რომლის დამუშავებას ეწევა ტრესტი მდინარე ბზიფსა და გნილუშკას შორის;

მდინარე გუმისთის ნარწყულში და ნარწყულზედა ტერასაზე; შესართავიდან გზატკეცილის ახალ ხიდამდე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 სამშენებლო ტრესტისათვის ისე, რომ აღნიშნულმა ტრესტმა შეწყვიტოს 1962 წლიდან ხრეშისა და ქვიშის მოპოვება გულრიფშის პლაყის ზოლში;

მდინარე კელასურის კალაპოტში — განსაზღვრული რაოდენობით, რაც საჭიროა მდინარის ნაპირის დასაცავად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ გაადვილდეს მდინარის მაგარი ჩადინება ზღვაში;

მდინარე მაჭარის კალაპოტში, შესართავიდან 10 კილომეტრზე (კაქარ-კენჭოვანი მასალის მერხეულის საბადო 150 ათას კუბ. მეტრამდე მარავით);



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია

მდინარე კოდორის შესართავში (მარჯვენა ნაპირი) და დეპარტე სახაპირო ზოლში — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო-სათვის;

მდინარე კოდორის ნარწყულში და ნარწყულზედა ტერასზე (მარჯვენა ნაპირი) — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოსათვის;

სანაპირო ზოლში მდინარე მოქვის შესართავსა და ოჩამჩირის ნადაგურს შორის;

მდინარე მოქვაზე, ვზატყეცილის ზემოთ, ნარწყულისა და ნარწყულზედა ნაღებებში;

მდინარე სეურის შესართავის უბანზე (მდინარე კოდორიდან 5 კილომეტრზე ოჩამჩირისაკენ) — განსაზღვრული რაოდენობით (წელიწადში 6 ათასი კუბ. მეტრამდე) მხოლოდ სილიკატის ქარხნის საქიროებისათვის;

მდინარე მოქვაზე, ვზატყეცილის ზემოთ, ნარწყულისა და ნარწყულზედა ნაღებებში;

პლაყის ნაღებში მდინარე ოქუმის შესართავიდან მდინარე ვაგი-დამდე 10-11 კილომეტრის მანძილზე — განსაზღვრული რაოდენობით (არა უმეტეს 50 ათასი კუბ. მეტრისა წელიწადში);

მდინარე ენგურის შესართავში მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირიდან მე-3 კილომეტრზე ოჩამჩირისაკენ (სღვის ქვიშის ნაღებები 600-700 ათასი კუბ. მეტრის მარაგით);

მდინარე ენგურის ნარწყულის ნაღებებში ენგურის სადაგურის რაიონში და ზემოთ სოფ. ვვარამდე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ინტერტული მასალების ქარხნისათვის.

აჭარის ასსრ-ის სპეციალური

სოფ. ვანიოსთან, მდინარე ჭოროხის შესართავის სამხრეთით იმის შესაძლებლობით, რომ მოპოვებულ იქნას 300-350 ათასი კუბ. მეტრი ხრეში და ქვიშა;

მდინარე ჭოროხის ნარწყულში, შესართავიდან დინების ზემოთ მე-3-დან მე-15 კილომეტრამდე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოსათვის;

მდინარე აჭარისწყლის ნარწყულში (იმ ადგილიდან 3 კილომეტრზე, სადაც იგი მდინარე ჭოროხს ერთვის);



მდინარე ჩაქვის წყლის ნარწყულში (მდინარის შესართავიდან 3-5 კილომეტრზე) განსაზღვრული მოპოვებით წელიწადში 10-15 ათასი კუბ. მეტრის ფარგლებში.

ზღვის ნაპირის დანარჩენ რაიონებში

მდინარე ხობის ნარწყულში (ყულევის საბადო).

ქალაქ ფოთისა და მისი რაიონის მოთხოვნილება ინერტულ მასალებზე ძირითადად დაკმაყოფილდეს ყულევის საბადოდან და იმით, რომ მოპოვებულ იქნას ზღვის ხრეში და ქვიშა სოფელ გონიოსთან, მდინარე კოროხის სამხრეთით და მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირიდან მე-3 კილომეტრზე ოჩამჩირის მიმართულებით, ამასთან ყველა ამ შემთხვევაში გამოყენებულ იქნას წყლის ტრანსპორტი.

49 შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის გაძლიერების შესახებ

აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოში, მის სამმართველოებსა და ტრესტებში, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში არადაამკმაყოფილებლად არის დაყენებული შიგასაუწყებო კონტროლის მუშაობა. მთელ რიგ შემთხვევებში რევიზიები და შემოწმება ფორმალურ ხასიათს ატარებს და ვერ ამკლავებს სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის სერიოზულ დარღვევებს, აგრეთვე დანაკლისს, გაფლანგვებსა და მტაცებლობას.

რევიზიების უხარისხოდ და არათავისდროზე ჩატარების შედეგად, დიდი ხნის განმავლობაში გამოუვლინებელი რჩებოდა დიდძალი თანხების დანაკლისი, გაფლანგვები, მატერიალურ ფსევდობათა და ფულადი სახსრების მტაცებლობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ზოგიერთ საწარმოში (თბილისის კამვოლ-მაულის კომბინატი, ტრესტ საქართველოს ჩაის ჩაისსაწონი ფაბრიკა, გორის ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ატელიე, ქუთაისის და გურჯაანის საკონსერვო ქარხნები), ადგილობრივი მეურნეობის მთელ რიგ კომბინატებში, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცკავშირის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებში და სხვ.



ხშირად რევიზიების მასალებს დიდი დაგვიანებით იხილავენ, ამასთანავე მათ გამო ყოველთვის როდი იღებენ სათანადო ზომებს, რებს რევიზიების ეფექტიანობასა და ქმედითობას.

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ შიგასაუწყებო კონტროლს, რომელიც წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებში სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცების, ზედმეტობის, მფლანგველობისა და მტაცებლობის აღმოფხვრის ერთერთ დიდმნიშვნელოვან საშუალებას. რევიზორთა აპარატს იყენებენ ისეთი სამუშაოების შესასრულებლად, რაც არ არის დაკავშირებული მის ძირითად ფუნქციებთან, და ამავდროს რევიზიების ჩასატარებლად იწვევენ დაქვემდებარებული ორგანიზაციების ბუღალტრებს.

შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დებუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) განიხილონ შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის, აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და უზრუნველყონ, რომ დაქვემდებარებულმა საწარმოებმა, მწეებლობებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მტკიცედ დაიცვან სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინა, აგრეთვე უზრუნველყონ მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების დაცვა-შენახვა. სისტემატურად განიხილონ ეს საკითხები;

ბ) გადასინჯონ შიგასაუწყებო საკონტროლო სარევიზიო აპარატის შემადგენლობა და განამტკიცონ იგი შემოწმებული, საქმის მცოდნე მუშაკებით, რომლებსაც უნარი შესწევთ სათანადო კონტროლი გაუწიონ სახელმწიფო ინტერესების დაცვას;

გ) ჩაატარონ ყველა დაქვემდებარებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის რევიზია მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში — წელიწადში ერთხელ მაინც. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექციონ მათი საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების დაცვა-შენახვის სა-



კითხვებს. ამ მიზნით ფართოდ შემოიღონ კომპლექსური *მრეწველობის* ჩატარება შესაბამისი სპეციალობის მუშაკთა მონაწილეობაში *მზრუნველობა* კად აკრძალოს რევიზორების გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით;

დ) განიხილონ (პირადად სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა) რევიზიების შედეგები და მიიღონ მათ გამო გადაწყვეტილებანი რევიზიის მასალების შემოსვლიდან არა უგვიანეს 10-15 დღის ვადისა, მკაცრი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ შემოწმებული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დროზე შეასრულონ რევიზიების შედეგების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებანი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიას პერიოდულად შეამოწმონ სახალხო მეურნეობის საბჭოში, სამინისტროებსა და უწყებებში შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები მისი გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წ. 10 ივნისი, № 356

50

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ნოემბრის № 783 და 1960 წლის 3 დეკემბრის № 821 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1961 წლის 6 მაისის № 212/13 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოდ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ნოემბრის № 783 დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„2. მოქმედ სამშენებლო, სამშენებლო-სამონტაჟო, სპეციალური ბულ, სამონტაჟო, ამმუშავებელ-გამწყობ და გამწყობ ციებს მიაკუთვნებენ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების წგუფებს ამ დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების პერიოდში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი სათანადო პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით.

ახლად შექმნილ სამშენებლო ორგანიზაციებს ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების წგუფებს მიაკუთვნებენ ამ დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო.

შემდეგში მოქმედ სამშენებლო ორგანიზაციებს, სამუშაოთა გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების წგუფებს მიაკუთვნებენ ამ დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო წელიწადში ერთხელ სამუშაოთა წლიური გეგმის დამტკიცების დროს“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 821 დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოქმედ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების წგუფებს მიაკუთვნებენ ამ დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების პერიოდში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი და თბილისის მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით.

ახლად შექმნილ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებს ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების წგუფებს მიაკუთვნებენ ამ დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო .



შემდეგში მოქმედ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციის სამუშაოთა გეგმის შეცვლასთან დაკავშირებით, ხელშეწყობის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ჯგუფებს მიაკუთვნებენ ამ დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო წელიწადში ერთხელ სამუშაოთა წლიური გეგმის დამტკიცების დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძეძე**.

51 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის № 254 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 და 1960 წლის 9 ივნისის № 594 დადგენილებებთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა, აგრეთვე სსრ კავშირის ყოფ. შრომის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 მარტის № 254 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გაუქმებულია:

ა) „უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 12 აპრილის № 456 დადგენილების მე-7 მუხლის მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე აბზაცები;

ბ) „მეცნიერების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 5 ივნისის № 660 დადგენილების მე-6 მუხლი, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება შემთავსებლობით მუშაობას უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-საკვლევ სექტორებში.

2. მუხლი 8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 დეკემბრის № 1823 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა



სახელმწიფო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაწესებულებებისა და საწარმოების იურისკონსულტების ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იურისკონსულტთა შემთავსებლობა ხორციელდება „სამსახურ-ში შემთავსებლობის შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 და 1960 წლის 9 ივნისის № 594 დადგენილებათა საფუძველზე“.

ვ. ძალადაქარგულად ჩაითვალოს:

ა) მუხლი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 ივლისის № 885 დადგენილებისა „საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების ჩანმრთელობის დაცვის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩანმრთელობის დაცვის განყოფილების, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) ჩანმრთელობის დაცვის განყოფილებების შტატებში მთავარი თერაპევტის, მთავარი ქირურგის, მთავარი მეან-გინეკოლოგის თანამდებობათა შემოღების შესახებ“;

ბ) „საქართველოს სსრ საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა თანამდებობრივი ჯამაგირებისა და სატარიფო განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 13 სექტემბრის № 1230 დადგენილების მე-6 მუხლი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წ. 16 ივნისი, № 370

52 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს დებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:
დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-



თან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაფარიძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წ. 16 ივნისი, № 371

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 16 ივნისის
№ 371 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო, რომელიც შექმნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 თებერვლის № 73 დადგენილების საფუძველზე, წარმოადგენს რესპუბლიკურ ორგანოს და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანაა გადააქციოს საბჭოთა მეურნეობები სანიმუშო, მაღალრენტაბელურ სოციალისტურ მეურნეობებად და ყოველწლიურად გააღვიძოს მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ეკისრება განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლებას და პირუტყვის სულადობის შემდგომ გადიდებას საბჭოთა მეურნეობებში ისე, რომ იმავდროულად მნიშვნელოვნად გაიზარდოს მისი პროდუქტიულობა, უზრუნველყოფენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობას



საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდებას, საბჭოთა მეურნეობის ობიექტების მიერ სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარებების გაზრდას შესრულებას, მისი თვითღირებულების სისტემატურად შემცირებას საბჭოთა მეურნეობების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებით, საბჭოთა მეურნეობების წარმოების დარგების სწორად შეხამების, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, შრომის მაღალი ნაყოფიერების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენების საფუძველზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) გამოავლინებს და გამოიკენებს საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში მთელ რეზერვებს, განაზოგადებს და მოაწყობს მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების პროპაგანდას და დანერგვას წარმოებაში; საბჭოთა მეურნეობების ზონალურ თავისებურებათა გათვალისწინებით დანერგავს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო რაციონალურად გაძლიერებისათვის;

ბ) მოაწყობს, ხელმძღვანელობსა და კონტროლს გაუწევს მეთესლეობის, სანაშენო და ვეტერინარული მუშაობის დაყენებას, სოფლის მეურნეობის დაავადებათა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას საბჭოთა მეურნეობებში;

გ) ხელმძღვანელობს გაუწევს საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საქმეს, მიიღებს ზომებს საბჭოთა მეურნეობებში ყველა შრომატევადი სამუშაოს კომპლექსური მექანიზაციის უსწრაფესად დამთავრებისათვის;

დ) განახორციელებს კადრების შერჩევასა და განაწილებას, გაატარებს ღონისძიებებს მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ე) განახორციელებს საბჭოთა მეურნეობების წარმოების ძირითადი დარგების დაგეგმვას, შეადგენს და დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წლიური და პერსპექტიული შეჯამებითი გეგმების პროექტებს, გაატარებს ღონისძიებებს დამტკიცებული გეგმების შესრულების უზრუნველყოფისათვის, შეადგენს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ტრესტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოსავალ-გასავლის შეჯამებითს ბალანსებს;

ვ) დაამტკიცებს ტრესტების და სამმართველოსადმი უშუალოდ



დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალურ და მთავარ სამმართველოსათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში ისე, რომ დაცულ იქნას თანამდებობრივი განაკვეთების სქემები;

ზ) უზრუნველყოფს ტრესტების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოების დაფინანსებას მთავარ სამმართველოსათვის დამტკიცებული საფინანსო გეგმის შესაბამისად.

თ) თავისი სისტემის ორგანიზაციებს შორის გადაანაწილებს საბრუნავი სახსრების ნაშუქს და მეურნეობის განმტკიცება-გაფართოების ფონდებს, რომლებიც კაპიტალდაბანდებებს ხმარდება, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისათვის;

ი) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, მეურნეობის რენტაბელობის უზრუნველყოფა და ზეგვეგმიით დაგროვების გადიდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს სისტემაში, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხის გადიდება და მისი თვითღირებულების შემცირება;

კ) ტრესტებს შორის გაანაწილებს კაპიტალდაბანდებებს დამტკიცებული მოცულობის საფუძველზე, ხელმძღვანელობას გაუწევს საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მშენებლობას, საირიგაციო და სამელიორაციო ღონისძიებათა გატარებას საბჭოთა მეურნეობებში, შეიმუშავებს და დადგენილი წესით დამტკიცებს კაპიტალური მშენებლობის საპროექტო დავალებებს, ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, განახორციელებს ღონისძიებებს მშენებლობის გაიაფებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

ლ) შეიმუშავებს მოწინავე აგროტექნიკურ, ზოოტექნიკურ, ვეტერინარულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას, აგრეთვე შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვას საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში;

მ) უზრუნველყოფს ტრაქტორების, კომბაინების, ავტომობილებისა და სხვა მანქანებისა და მექანიზმების ექსპლუატაციის, რემონტისა და შენახვის წესების დაცვას, აგრეთვე ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერჯის ხარჯვის დაწესებული ნორმების დაცვას;



ნ) მოაწყოს საბჭოთა მეურნეობებისა და მის სისტემაში განხორციელებული სხვა საწარმოების პროდუქციის გასაღებას;

ო) მოაწყოს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგების დაყენებას საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს სისტემაში, დაამტკიცებს ტრესტებისა და საწარმოების ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს მთავარ სამმართველოს ყველა სახის საწარმოო, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის კვარტალურ და წლიურ შეჯამებითს საბუღალტრო ანგარიშებს, განახორციელებს საფინანსო კონტროლს და ჩაატარებს დოკუმენტურ რევიზიებს საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს სისტემაში;

პ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების დაცვას მთავარ სამმართველოს სისტემის ტრესტებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში;

ჟ) მოაწყოს და ხელმძღვანელობას გაუწევს სოციალისტურ შეჯიბრებას, მიმართულს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისაკენ, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისაკენ, საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისაკენ, პროდუქციის ზარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისაკენ, საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებისა და ზეგეგმითი დაგროვების მაღლებისაკენ.

4- საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს სათავეში უდგას მთავარი სამმართველოს უფროსი. უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს მთავარ სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული ტრესტების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

ბ) გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე, მათ შესასრულებლად და შეამოწმებს მათ შესრულებას;

გ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს მთავარ სამმართველოს მუშაკებს და მისდამი დაქვემდებარებული ტრესტების,



საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს;

დ) შეაჩერებს და გააუქმებს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ტრესტების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ე) დადგენილი წესით მოაწყობს საწარმოებს და საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათ დაქვემდებარებას ტრესტებისადმი;

ვ) გადასცემს ერთი საბჭოთა მეურნეობის მიწების ნაწილს სხვა საბჭოთა მეურნეობას;

ზ) დაამტკიცებს მთავარ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ტრესტების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებებსა და წესდებებს;

თ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგენს დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებული დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს საბჭოთა მეურნეობების წარმოების საკითხებზე;

ი) გასცემს მინდობილობებს მთავარ სამმართველოს ტრესტებისა და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვა-გამგეობის უფლების შესახებ.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოში შეიქმნება კოლეგია მთავარ სამმართველოს უფროსის (თავმჯდომარე), მისი მოადგილეების, მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

კოლეგიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს და მის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მთავარ სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარების ძირითად საკითხებს, ავრთვევ კონკრეტულ ღონისძიებებს საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქ-

ტების წარმოების განვითარებისათვის, განიხილავს კალენდრულ-წლიურ ხევის, შესრულების შემოწმების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებული ტრესტების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს. კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მთავარ სამმართველოს უფროსის ბრძანებებით.

მთავარ სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მთავარ სამმართველოს უფროსი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებებს და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ. შეუძლიათ ავლაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხების განხილვის მიზნით, აგრეთვე მოწინავე მუშათა, სპეციალისტთა და ხელმძღვანელ მუშაკთა გამოცდილების უკეთ გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო, მისი ტრესტები, საბჭოთა მეურნეობები და საწარმოები მოიწვევენ დადგენილი წესით აქტების თათბირებს.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს სტრუქტურას და ცენტრალური აპარატის შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს აქვს მრგვალი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და მისი სახელწოდება.

53 წყლისა და ქარის ეროვნისაგან წიადაგების დაცვის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები არ ეწევიან სისტემატურ ბრძოლას ეროვნული მოვლე-



ნების წინააღმდეგ, არ იცავენ ეროზიის საწინააღმდეგო ნიადაგების, სასოფლო-სამეურნეო და ტყის კულტურების დამუშავებისას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვისა და ტყის მასივების ექსპლუატაციის დროს, რის გამო წყლისა და ქარის ეროზია მნიშვნელოვან ზარალს აყენებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ქარის ეროზიამ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში დააზიანა 150 ათას ჰექტარზე მეტი.

საშიშ ოდენობას მიიღწია ქარის ეროზიამ სამგორის, სავარგოს, წითელწყაროსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სხვა რაიონებში, სადაც მან ათეული ათასობით ჰექტარი ნათესი მოსპო ცალკეულ წლებში.

გუდაუთის, სოხუმის, ხულოს, ქედის, შუახევის, ორჯონიკიძის, ჭიათურის, საჩხერის, ონის, ამბროლაურისა და ზოგიერთი მთიანი რაიონის დიდძალ დასამუშავებელ ფართობს დაეკარგა ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რის გამო ამ რაიონებში წლითიწლობით მცირდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი. ამ მიწების ნაყოფიერების აღდგენა მოითხოვს ხანგრძლივ და შრომატევად ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია დიდ კაპიტალდაზანდებებთან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო და რაიადმასკომები არ იღებენ ზომებს იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებმა განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნიადაგების დაცვას წყლისა და ქარის ეროზიისაგან. კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობები სრულიად არასაკმარის ყურადღებას აქცევენ მინდორსაცავე ტყის ზოლების მოვლა-პატრონობას, რის გამო ამ ნარგავების ერთი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა.

წყლისა და ქარის ეროზიისაგან ნიადაგების დაცვისა და ეროზიული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაატაროს 1961—1965 წლებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ნიადაგების გამოკვლევა და შეადგინოს ნიადაგის რუკები 1:10000 მასშტაბით, მიწების



აგროსაწარმოო დახასიათებით, თვითეულ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობაში; გამოარკვიოს თვითეულ მეურნეობაში ეროზიული ნიადაგების საერთო ფართობი, მათი ეროზიულობის ოდენობის აღნიშვნით (პირველ რიგში წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, სამგორის, ხაშურის, გორისა და კასპის რაიონებში). შეიმუშაონ რეკომენდაციები ამ მიწების ნაყოფიერების აღსადგენად აღვილმდებარეობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის და ფინანსთა სამინისტროს გათვალისწინონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შედგენის დროს ნიადაგების გამოკვლევის ჩატარებისათვის საჭირო სახსრები ამ დადგენილების 1 მუხლის თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაიადმასკომებს:

ა) ეროზიული ნიადაგების აღრიცხვისა და მათი აღდგენის საშუალებათა შესახებ რეკომენდაციების მიცემის მიხედვით უზრუნველყოფენ, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, საცდელმა სადგურმა და სხვა მიწათმოსარგებლებმა შეადგინონ საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი თვითეულ ნაკვეთზე ეროზიული ნიადაგების აღდგენისათვის, ამასთან შეიტანონ ეს ღონისძიებანი თვითეული მეურნეობის ყოველწლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებში, მათი განხორციელების ვადების აღნიშვნით.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული თუ რამდენად შეასრულეს მათ ეროზიისაგან ნიადაგების დაცვისა და ეროზიული ნიადაგების აღდგენის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებანი;

ბ) ნიადაგისა და რელიეფის პირობების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის გამოუსადეგარი ფართობები გამოიყენონ ტყის ნარგავებისათვის, ხოლო თუ მეურნეობებში ასეთი მასივება



დიდი რაოდენობით მოიპოვება (50 ჰექტარზე მეტი); გადამსამუშაოების სატყეო მეურნეობას გასატყეიანებლად;

გ) მიიღონ გადაწყვეტი ზომები, რათა სატყეო მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აუცილებლივ შეასრულონ საქართველოს კ კენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 იანვრის № 66 დადგენილებით დაწესებული გეგმა მინდორსაცავი ტყის ნარგავების გაშენებისა 1961 — 1965 წლებისათვის;

დ) იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული წყლის ეროზია მთიან და მთისწინა სარწყავ მასივებზე 5 გრადუსამდე დაქანებით, განახორციელონ დაგეგმვის სამუშაოები, ზოლო დროებითი სარწყავი ქსელის დაკვალვა აწარმოონ მხოლოდ და მხოლოდ განივი სქემის მიხედვით;

ე) განახორციელონ 1961 — 1965 წლებში ღვარცოფის კერებში ჰიდროტექნიკური და ფიტომელიორაციული ღონისძიებანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და ტყის ინსტიტუტის მეთვალყურეობით;

ვ) ქარის ეროზიის შედეგებისაგან არხების დასაცავად გამოყონ ყველა მაგისტრალურ და განმანაწილებელ არხებზე განსხვისების ზოლები მრავალწლიანი ბალახების დასათესად ან ტყის დასარგავად.

აიკრძალოს პირუტყვის ძოვება და გარეკვა განსხვისების ზოლებში;

ზ) აუკრძალონ სარწყავი მიწათმოქმედების რაიონების ყველა მიწათმოსარგებლეს სათონნი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა წყლის მიშვებით ან შეტბორებით.

4. დაევალოთ იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ზეღმძღვანელებს, რომლებიც საკარიერო და სხვა სამუშაოებს ასრულებენ. განახორციელონ ღონისძიებანი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენისათვის იმ ნაკვეთებზე, სადაც სამუშაოები მიმდინარეობს და რომლებიც გამოსადეგია სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისა და ტყის დარგვისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად სამი თვის ვადაში გამოსცეს ბროშურა და პლაკატები ნიადაგების წყლისა და ქარის ეროზიის და მასთან ბრძოლის საკითხებზე.



6. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ყოველწლიურად გამოარკვეიოს რესპუბლიკის მოთხოვნების შესაბამისად ზიის საწინააღმდეგო სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე და მინი-ლოს სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შესაბამისი მექანიზმებით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 მაისისა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი ბორციელდება რესპუბლიკაში ნიადაგების წყლისა და ქარის ეროზიას წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

8. დაევალოს ბუნების დაცვის საქართველოს რესპუბლიკურ საზოგადოებას დარაზმოს საზოგადოებრივი აზრი წყლისა და ქარის ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის საკითხებზე და დახმარება გაუწიოს ადგილობრივ მიწათმოქმედებისა და სხვა ორგანოებს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წელიწადში ორჯერ — 1 ივლისსა და 30 დეკემბერს მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

ითვალისწინებს რა, რომ ნიადაგების წყლისა და ქარის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დარწმუნებულია, რომ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება გახდება საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, მათი საცდელი სადგურებისა და დასაყრდენი პუნქტების ხელმძღვანელთა ყოველწლიური ზრუნვის საგანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თამყდომარე **ბ. ჯაპახიუხილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ბ. შირაბაძე.**

54

სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის
 რიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მმართველის ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლებობებს.

ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ბიუროები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები დროულად და სრულად არ ატარებენ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას.

სერიოზული დარღვევები გვხვდება ქორწინების რეგისტრაციის დროს. მეორე ქორწინების გაფორმებისას არ მოითხოვენ დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ პირველის განქორწინებას; იმ პირობითა რეგისტრაცია, რომელთაც ქორწინების ასაკი არ შესრულებიათ, წარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის ნებადართულად; ქორწინების რეგისტრაცია მოწმეთა დაუსწრებლად ხდება.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო დაწესებულებები მთელ რიგ შემთხვევებში უხეშად არღვევენ მმართველის ორგანოსათვის საკონტროლო ცნობების წარდგენის წესებს (ქ. ტყვარჩელის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, სიღნაღის, წულუკიძის, წალკისა და სხვა რაიონების რაიონული საავადმყოფოები).

ხშირად მმართველის ორგანოების მუშაობას არ მოეპოვებათ საკმაო კვალიფიკაცია, რაც ნაწილობრივ შტატების მოუწესრიგებლობით აიხსნება. მმართველის ბიუროს გამგეთა შტატის თანამდებობანი გათვალისწინებულია მხოლოდ რესპუბლიკის 43 რაიონში (ქალაქში), დანარჩენ რაიონებში კი მუშაობენ საქმისმწარმოებლები ან არქივარიუსები (თითო საშტატო ერთეული თვითნებულ რაიონში — ქალაქში).

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მეტად არადაამაკმაყოფილებლად ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა მოწესრიგდეს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია და შეიქმნას მმართველის ორგანოებისათვის მუშაობის ნორმალური პირობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 21 თებერვლის № 168 დადგენილებით „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 29 მაისის დადგენილებით „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი ბიუროს მუშაობის შესახებ“ და სა-



ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიუროს 1960 წლის მარტის 11-ის № 24/11 საოქმო გადაწყვეტილებით.

მმაჩის ბიუროების, განსაკუთრებით რაიონული ბიუროების, უმეტესობას არ გააჩნია მუშაობის ნორმალური პირობები. ბევრი მათგანი მოთავსებულია მოუწყობელ სადგომებში, რის გამო არ არსებობს იმის პირობები, რომ საჭირო საზეიმო ხასიათი მიეცეს ქორწინებისა და დაბადების რეგისტრაციის აქტებს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მოწესრიგებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს უმოკლეს ვადაში მიიღონ ქმედითი ზომები სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის საქმის მოსაწესრიგებლად და მმაჩის ორგანოებსა და სათემო მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად ამ საკითხებზე მიღებული დადგენილებების შესაბამისად, რისთვისაც:

ა) გააძლიერონ მმაჩის ორგანოების საქმიანობის ხელმძღვანელობა და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაბადებისა და გარდაცვალების შემთხვევების სრული და დროული რეგისტრაციის უზრუნველყოფას;

ბ) გამოუყონ მმაჩის ორგანოებს კეთილმოწყობილი სადგომები, რომლებსაც ექნებათ ცალკეული ოთახები მოსადგენად და ქორწინებისა და დაბადების საზეიმო რეგისტრაციისათვის;

გ) გამოყონ სახსრება მმაჩის ორგანოების სადგომების შესაკეთებლად და ავეჯისა და ინვენტარის შესაძენად; უზრუნველყონ ტელეფონების დადგმა მმაჩის ბიუროებში და სადგომების სათანადო შენახვა.

ამ დადგენილებების შესრულება მოხსენდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე.

2. დაევალოთ მმაჩის ორგანოების მუშაეებს საზეიმო ვითარებაში ჩაატარონ საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრებაში ისეთი ღირსშესანიშნავი მოვლენების რეგისტრაცია, როგორცაა ქორწინება და ბავშვთა დაბადება. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ამ საქმეში მმაჩის ორგანოების მუშაეებს.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იური-



დიულმა კომისიამ გააძლიეროს მმაჩის ორგანოებისადმი ნელობა და მათი საქმიანობის კონტროლი, შეიმუშაოს მეთოდური მითითებანი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მოწესრიგებისათვის და ჩაატაროს ამ საკითხებზე მმაჩის ორგანოების მუშაკთა ზონალური თათბირები.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად გადასინჯოს მმაჩის ორგანოების შტატები.

შესაბამისი ცვლილებანი გაითვალისწინოს 1962 წლის ბიუჯეტის პროექტით.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაავალოს რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებს დროზე გადასცენ მმაჩის ორგანოებს საკონტროლო მასალები ახლადშობილთა, მკედრათშობილთა და გარდაცვალებულთა შესახებ, აგრეთვე უზრუნველყონ დაბადებისა და გარდაცვალების საექიმო მოწმობების შევსება დადგენილი წესების დაცვით.

6. საქართველოს სსრ ეპრობის სამინისტრომ მოაწყოს 1961 წლის მეორე ნახევარში საქონლის გაყიდვა ახლად დაქორწინებულთათვის და ახლადშობილთათვის ქ. თბილისის „საჩუქრების“ მაღაზიაში, ზოლო 1962 წელს გახსნას სათანადო სპეციალიზებული სექციები ქალაქ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის უნივერსიტეტებში.

7. საქიროდ ჩაითვალოს გაიხსნას ქ. თბილისში მოსკოვის, ლენინგრადის და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა დედაქალაქების მაგალითის მიხედვით, ქორწინების სახლი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოყოს ქორწინების სახლისათვის 250 — 280 კვ. მეტრი ფართობი, გააწყოს იგი სათანადო ინვენტარით და უზრუნველყოს სახლის გახსნა 1962 წლის მეორე კვარტალის დამდგისათვის.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსე-



ბულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად მოს ამ დადგენილების შესრულება და შედეგები მოახსენოს ტრთა საბჭოს 1962 წლის პირველ კვარტალში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაძაძე**.

ქ. თბილისი, 1961 წ. 17 ივნისი, № 383

55 „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების შესრულების ღონისძიებებზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების მე-7 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს დებულება „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების შეფარდების წესის თაობაზე“.

2. წინადადება მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დახმარება გაუწიონ მოსახლეობას იმ მხრივ, რომ მოეწყოს ქუჩის კომიტეტები და საზოგადოებრივ წესრიგის ხელშეწყობი კომისიები სახლმმართველობებთან იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი.

3. დაწესდეს შემდეგი ადგილები იმ პირთა დასასახლებლად, რომლებიც გასახლებული იქნებიან თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა „იმ პირების წი-



ნაალმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ანტისაზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“:

ა) სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობას სამინისტროს ტრესტ საქვიდროენერგომშენის ენგურპეისის მშენებლობა;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ჭანდარის მეხორცეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობა-

4. დაევალოთ სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ საქვიდროენერგომშენს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს შეასრულონ საპირო სამუშაოები, რათა მომზადებულ იქნას საცხოვრებელი სადგომები — ს.ერთო საცხოვრებლები გასახლებულ პირთა მისაღებად და უზრუნველყონ მათი შრომითი მოწყობა, ამასთან შეძლებისდაგვარად გაითვალისწინონ მათი სპეციალობა.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 ოქტომბრის № 689 დადგენილება „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების შეფარდების წესის დებულების დამტკიცების თაობაზე“ და მუხლები 1 და 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 სექტემბრის № 681 დადგენილებისა „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების შესრულების ღონისძიებებზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. შირაქაძე.**



დამტკიცებულია საქართველოს სსრ-ის
 მინისტრთა საბჭოს 1961 წლის
 29 ივნისის № 396 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების შეფარდების წესის თაობაზე

1. „იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად, გასახლებულ უნდა იქნან რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების დადგენილებებით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით და მშრომელთა კოლექტივების საზოგადოებრივი განაჩენებით, რომლებსაც დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, აგრეთვე ის პირები, რომლებიც ეწყობიან სამუშაოზე საწარმოებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში ან ირიცხებიან კოლმეურნეობის წევრებად მხოლოდ მოსაჩვენებლად, სინამდვილეში კი არყევენ დისციპლინას, ეწევიან კერძო მეწარმულ საქმიანობას, ცხოვრობენ არაშრომითი შემოსავლით ან სჩადიან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქციელს, რითაც პარაზიტული ცხოვრების საშუალება ეძლევათ.

2. არაშრომითი გზით შეძენილი ქონების კონფისკაცია, რაც გათვალისწინებულია ბრძანებულების 1 მუხლით, შეფარდებული იქნება გასახლების საკითხის გადაწყვეტასთან ერთად, რაც მოხდება მხოლოდ და მხოლოდ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით.

3. არ შეიძლება გასახლებულ იქნან ავადმყოფები მათი შრომისუუნარობის პერიოდში, ინვალიდობის ყველა ჩგუფის ინვალიდები,



პენსიონერები, აგრეთვე მამაკაცები 60 წელზე მეტი ასაკისა და ქალები 55 წელზე მეტი ასაკისა და დიასახლისები.

4. სახელმწიფო ორგანოები (მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, პროკურატურა, მილიცია და სხვ.), საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, ქუჩის კომიტეტები, სახლმმართველობებთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის ხელშეწყობი კომისიები, კოლმეურნეობები და სხვ.), გამოავლენენ რა ისეთ პირს, რომელიც ეწევა ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, აძლევენ მას გაფრთხილებას წერილობითი ვალდებულების ჩამორთმევით, რომ იგი დაწესებულ ვადაში დაადგება პატიოსანი შრომითი ცხოვრების გზას.

გამოსწორების ვადა მიეცემა ყოველ ცალკე შემთხვევაში კონკრეტული პირობების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

5. ბრძანებულების 1 მუხლის მე-5 აბზაცის თანახმად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი, სახალხო სასამართლოს დადგენილებანი ან საზოგადოებრივი განაჩენი გასახლების შესახებ გამოიტანება მას შემდეგ, რაც ის პირი, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაფრთხილების მიუხედავად, დაწესებულ ვადაში არ დაადგა პატიოსანი შრომითი ცხოვრების გზას.

6. მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებზე საწარმოებში, საამქროებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო ბრიგადებში გასახლების საკითხი განიხილება ამ კოლექტივის მშრომელთა უმრავლესობის თანდასწრებით. საზოგადოებრივი განაჩენი გასახლების შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით ხმის უბრალო უმეტესობით.

ის პირი, რომლის გასახლების საკითხს განიხილავს კრება, გამოძახებული იქნება კრებაზე უწყებით, რაც მას ხელწერილქვეშ ჩაბარდება.

7. მშრომელთა კოლექტივის საერთო კრების ხელმძღვანელობას განახორციელებს კრების პრეზიდიუმი.

საერთო კრებები ჩატარდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს შესაბამისი აღმასკომის წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

8. მასალების ყოველმხრივი განხილვის შემდეგ და იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა ფაქტი, რომ ესა თუ ის პირი სჩადის ანტი-



საზოგადოებრივ საქციელს, თავს არიდებს საზოგადოებრივ საქმიანობას, სარგებლო შრომას და ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას, მშრომელთა კოლექტივის საერთო კრება გამოიტანს განაჩენს გასახლების შესახებ, რომელშიაც აღნიშნავს, თუ რა ვადით უნდა იქნას გასახლებული მოცემული პირი.

ენციკლის წინ იმ პირმა, რომლის საკითხს კრება იხილავს, უნდა დასტოვოს კრება.

საზოგადოებრივი განაჩენი გასახლების შესახებ უნდა დაამტკიცოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

9. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საბჭოთა მეურნეობის სატაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი) კომიტეტი, აგრეთვე კოლმეურნეობის გამგეობა მთელ მასალას საერთო კრების ოქმთან ერთად სამი დღის ვადაში წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გასახლების შესახებ გამოტანილი საზოგადოებრივი განაჩენის დასამტკიცებლად.

10. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შემოსულ მასალებს გასახლების შესახებ განიხილავს ხუთი დღის ვადაში, გასასახლებელი პირის გამოძახებით; უკეთეს ეს უკანასკნელი არ გამოცხადდა საპატიო მიზეზის უქონლად, საკითხი განხილულ იქნას მის დაუსწრებლად.

11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეამოწმებს, თუ რამდენად სწორი და დასაბუთებულია საზოგადოებრივი განაჩენი გასახლების შესახებ და, შემოწმების შედეგების შესაბამისად, გამოიტანს გადაწყვეტილებას დაამტკიცოს საზოგადოებრივი განაჩენი გასახლების შესახებ თუ უარი უთხრას მის დამტკიცებაზე.

12. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებანი იმ პირის გასახლების შესახებ, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა და არა შრომითი გზით შეძენილი მისი ქონების კონფისკაციის შესახებ და მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებანი გასახლების შესახებ საბოლოოა და მათი გასაჩივრება არ შეიძლება.

13. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილებებს, აგრეთვე საზოგადოებ-



როგ ვანაჩენებს გასახლებას შესახებ, აღმასკომების მიერ მიტოვების შემდეგ, სისრულეში მოიყვანენ მილიციის ორგანოები, რომლებიც გასახლებულ პირებს მცველთა თანხლებით მიიყვანენ დასახლებების ადგილებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ობიექტებზე.

14. იმ პირთა რეგისტრაცია და მათდამი თვალყურის დევნება, რომლებიც გასახლების ვადას იხდიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების დადგენილებებით, ეკისრება მილიციის ორგანოებს დასახლების ადგილის მიხედვით.

გასახლებულთა შრომითი გამოყენება და მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობა ეკისრებათ იმ საწარმოების, მშენებლობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, სადაც ისინი არიან გაგზავნილი, ხოლო ამისადმი კონტროლს განახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასკომებო დასახლების ადგილის მიხედვით.

15. მილიციის ორგანოები იმ პირთა პასპორტში, რომლებიც გასახლების ვადას იხდიან, შეიტანენ აღნიშვნებს შეზღუდვის შესახებ: „არა აქვს დასახლების ადგილიდან წასვლის უფლება“, ხოლო შემდეგში, როდესაც მოიხდინა გასახლების ვადას, ან ვადამდე იქნებიან განათავისუფლებული თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 ივნისის ბრძანებულებისა (მუხლი 6) „იმ პირების წიანდამდე ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პრაზიტულ ცხოვრებას“, — მოხსნიან ამ შეზღუდვას და გამოუცვლიან პასპორტს.

16. ამ დებულების 1 მუხლში აღნიშნულ პირთა მასალები ინახება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებში ან რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში შესაბამისად.

17. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების დადგენილებით გასახლებულ პირებს დასახლების ადგილზე მუშაობა ჩაეთვლებათ საერთო შრომის სტაჟში.

18. დასახლების ადგილებს დააწესებს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრთა საბჭო იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად შესაძლებელია გასახლებულთა გამოყენება სამუშაოდ მრეწველობაში, მშენებლობაზე და სოფლის მეურნეობაში.

56

საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთშიდვის ერთიანი ტარიფების შესახებ

საწვავისა და სატვირთო ავტომობილების სათადარიგო ნაწილების ფასების შემცირებასთან დაკავშირებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 იანვრის № 24 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას 1962 წლის 1 იანვრიდან საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთშიდვის ახალი ერთიანი ტარიფები, რაც სავალდებულოა სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებისა, მშენებლობებისა და ორგანიზაციებისათვის, კოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარეობენ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სამი თვის ვადაში დამტკიცოს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთშიდვის ერთიანი ტარიფების გამოყენების წესები, ამასთან დაადგინოს ავტომობილების გაცდენის დროის ზღვრული ნორმები, აგრეთვე ტვირთების ნომენკლატურა და კლასიფიკაცია საავტომობილო ტრანსპორტით გადასაზიდად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორი კვირის ვადაში დაუბეჭდოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს 5 ათასი ცალი ტირაჟით საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთშიდვის ერთიანი ტარიფების ცნობარი.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს უფლება მიანიჭოს საერთო საგებლობის ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებს იმ ტვირთების მოკლე მანძილზე ტრანსპორტირებისათვის ავტომობილების ცარიელი გარბენის გამოყენების დროს, რომლებიც გადაზიდულ უნდა იქნან რკინიგზის



ტრანსპორტით, დააწესონ საფასური სარკინიგზო ეტაპებზე და ტვირთგამგზავნა და ტვირთმიმღებთა იმ დანარჩენი ხარჯების ნაწილის საფუძველზე, რაც გაწეული იქნება ტვირთის მისატანად რკინიგზის სადგურებამდე და სადგურებიდან.

5. 1962 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის ტარიფები, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 ივნისის № 469 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ჰირაქაძე**.

ПРИЛОЖЕНИЕ
к постановлению Совета Министров
Грузинской ССР
от 29 июня 1961 г. № 399

ЕДИНЫЕ ТАРИФЫ

на перевозку грузов автомобильным транспортом

I. Тарифная плата за перевозку грузов автомобильным транспортом устанавливается в зависимости от расстояния перевозок и класса грузов в следующих размерах:

(Тарифная плата в рублях и копейках за 1 тонну груза)

Расстояние перевозки в км.	Классы грузов			
	1	2	3	4
	Грузы, обеспечивающие коэффициент использования грузоподъемности автомобиля 1,0	Грузы, обеспечивающие коэффициент использования грузоподъемности автомобиля от 0,71 до 0,99	Грузы, обеспечивающие коэффициент использования грузоподъемности автомобиля от 0,51 до 0,70	Грузы, обеспечивающие коэффициент использования грузоподъемности автомобиля до 0,50
1	0-24	0-31	0-41	0-49
2	0-30	0-38	0-51	0-61
3	0-36	0-45	0-61	0-72
4	0-42	0-52	0-70	0-83
5	0-48	0-59	0-79	0-94
6	0-54	0-66	0-88	1-05
7	0-59	0-73	0-97	1-16
8	0-64	0-80	1-06	1-27
9	0-69	0-87	1-15	1-38
10	0-74	0-94	1-24	1-49
11	0-79	1-01	1-33	1-59
12	0-84	1-07	1-42	1-69
13	0-89	1-13	1-51	1-79
14	0-94	1-19	1-59	1-89
15	0-99	1-25	1-67	1-99
16	1-04	1-31	1-75	2-09
17	1-09	1-37	1-83	2-19
18	1-14	1-43	1-91	2-29
19	1-19	1-49	1-99	2-38
20	1-24	1-55	2-06	2-47
21-25	1-37	1-73	2-29	2-75
26-30	1-60	2-01	2-67	3-20
31-35	1-82	2-28	3-03	3-64
36-40	2-03	2-54	3-38	4-05
41-45	2-24	2-78	3-71	4-45
46-50	2-40	3-00	4-01	4-80


 Продолжение
 Таблица № 3

Расстояние перевозки в км.	Классы грузов			
	1	2	3	4
	Грузы, обеспечивающие коэффициент использования грузоподъемности автомобиля 1,0	Грузы, обеспечивающие коэффициент использования грузоподъемности автомобиля от 0,71 до 0,99	Грузы, обеспечивающие коэффициент использования грузоподъемности автомобиля от 0,51 до 0,70	Грузы, обеспечивающие коэффициент использования грузоподъемности автомобиля до 0,50
51—60	2-66	3-29	4-41	5-30
61—70	2-96	3-69	4-92	5-91
71—80	3-24	4-04	5-39	6-46
81—90	3-44	4-33	5-75	6-88
91—100	3-60	4-60	6-10	7-30
За каждый километр свыше 100 км.	3,6 коп.	4,6 коп.	6,1 коп.	7,3 коп.

Примечания: 1. В тех случаях, когда общая сумма плат по счету (накладной), получается с долями копеек, она округляется до целых копеек. При этом, если дробная часть копейки меньше полкопейки, то общая сумма плат снижается до целой копейки, а если она равна полкопейке или больше, то общая сумма по счету (накладной) повышается до целой копейки.

2. Плата за перевозку грузов при централизованных перевозках на регулярных междугородных автомобильных линиях взимается по особым тарифам, утверждаемым для автомобильного транспорта общего пользования.

3. При перевозке грузов в автомобилях со специализированными кузовами (фургоны, цистерны, изотермические и другие), за исключением автомобилей-самосвалов, плата повышается на 10 проц.

4. Стоимость погрузочно-разгрузочных и транспортно-экспедиционных работ, за исключением стоимости разгрузки самосвалов, не входит в плату за перевозку грузов.

5. Простой автомобилей (автопоездов), связанный с дополнительными операциями (выезды, повторная перевеска и др.), оплачивается грузоот-



правителем (грузополучателем) в размере 1,5 коп. за каждую минуту простоя.

6. За простой автомобилей (автопоездов) в пунктах погрузки и выгрузки и при дополнительных операциях, а также в гараже по вине грузоотправителя (грузополучателя) сверх установленных норм времени простоя взыскивается в бесспорном порядке за каждую минуту простоя автомобиля (автопоезда) грузоподъемностью до 4 тонн включительно — 2,5 коп., от 4 до 7 тонн включительно — 3,5 коп., от 7 до 10 тонн включительно — 5 коп., свыше 10 тонн — 10 коп.

7. За снижение грузоотправителем (грузополучателем) времени простоя автомобилей (автопоездов) в пунктах погрузки и выгрузки против установленных норм предоставляется скидка с суммы, причитающейся за перевозку, в размере 1,5 коп. за каждую минуту снижения простоя.

Скидка за снижение времени простоя не предоставляется при централизованных перевозках грузов на регулярных междугородных автомобильных линиях и при снижении времени простоя, достигнутом в результате организационно-технических мероприятий, проведенных автотранспортной организацией.

8. Перевозки взрывчатых веществ, тяжеловесных и крупногабаритных грузов, а также грузов, требующих при перевозке специального оборудования и приспособлений, осуществляется за плату на условиях по соглашению сторон.

9. За отказ от оформления или неправильное оформление путевого листа и товаро-транспортных документов с грузоотправителя (грузополучателя) взимается в бесспорном порядке штраф в размере 2 руб. 50 коп. за каждый путевой лист.

10. При перевозке грузов автомобилями во всех горных районах Грузинской ССР (свыше 1.300 м. над уровнем моря) плата повышается на 35 проц.

II. Почасовая плата за пользование грузовыми автомобилями определяется в зависимости от грузоподъемности автомобиля из расчета пробега автомобиля в среднем не более 5 километров в час. При большем пробеге автомобиля взимается дополнительная плата за каждый километр пробега сверх 5 км. в час.



Плата из почасового расчета за пользование грузовыми автомобилями и дополнительная плата за каждый километр пробега сверх 5 км. в час устанавливаются:

Грузоподъемность автомобиля	За один автомобиль-час пользования (в руб. и коп.)	Дополнительная плата за каждый километр пробега сверх 5 км. в час (в коп.)
До 1 тонны включительно	1—00	5
от 1 до 1,5 тонны включительно	1—10	6
от 1,5 до 2,5 тонны включительно	1—20	7
от 2,5 до 4 тонны включительно	1—50	9
от 4 до 7 тонн включительно	2—00	15
свыше 7 тонн за каждую дополнительную тонну грузоподъемности автомобиля	0—25	2

Примечания: 1. Плата из почасового расчета за пользование грузовыми автомобилями со специализированными кузовами (фургоны, цистерны, изотермические и другие), за исключением автомобилей-самосвалов, повышается на 10 проц., а за пользование автомобилями с прицепами — на 20 проц. за каждый одноосный или двухосный прицеп.

2. Мотоколяски и мотороллеры по размеру тарифной платы за пользование ими приравниваются к автомобилям грузоподъемностью до 1 тонны включительно.

3. Стоимость погрузочно-разгрузочных и транспортно-экспедиционных работ не входит в плату за пользование грузовыми автомобилями.

4. За отказ от оформления или неправильное оформление путевого листа и товаро-транспортных документов с грузоотправителя (грузополучателя) взимается в бесспорном порядке штраф в размере 2 руб. 50 коп. за каждый путевой лист.

5. Плата из покิโลметрового расчета устанавливается в зависимости от грузоподъемности автомобиля в следующих размерах:

Грузоподъемность автомобиля	За один километр пробега (в коп.)
До 1 тонны включительно	9
от 1 до 1,5 тонны включительно	10
от 1,5 до 2,5 тонны включительно	11
от 2,5 до 4 тонны включительно	13
от 4 до 7 тонн включительно	18
Свыше 7 тонн за каждую дополнительную тонну грузоподъемности автомобиля	2 коп.

III. Плата из километрового расчета применяется в следующих случаях:

а) за централизованную доставку новых автомобилей своим ходом иногородным фондодержателям;

б) за пробег автомобилей при следовании своим ходом для работы вне места их постоянного пребывания и при возвращении обратно.

в) за половину пробега порожних автомобилей до пункта первой погрузки и от пункта последней разгрузки сверх 10 км. в каждом из этих направлений. В случаях, когда автотранспортная организация расположена на трассе между пунктами погрузки и разгрузки, а также когда пункт погрузки или пункт разгрузки находится в черте города (населенного пункта), в котором расположено автохозяйство, порожние пробеги автомобилей не оплачиваются;

г) за пробег автомобилей в обоих направлениях (туда и обратно) в случаях, когда автомобиль не был загружен в пункте погрузки или перевозка не состоялась по вине грузоотправителя (грузополучателя);

д) за пробег автомобиля в одном направлении при несостоявшемся приеме или сдаче груза из-за стихийных бедствий.

е) за пробег автомобилей специального назначения (техническая помощь, буксирные и др.).

Примечание. Плата из покилометрового расчета за пользование грузовыми автомобилями со специализированными кузовами (фургоны, цистерны, изотермические и другие), за исключением автомобилей-самосвалов, повышается — на 10 проц., а за пользование грузовыми автомобилями с прицепами — на 20 проц. за каждый одноосный или двухосный прицеп.

Управляющий Делами
Совета Министров Грузинской ССР А. ЧИРАКАДЗЕ.

ბასწორება

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 თებერვლის № 125 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 აპრილის № 229 დადგენილების დანართის მე-4 მუხლი უნდა იკითხებოდეს:

„4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აპრილის № 269 დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, სადაზო და საკურორტო ადგილებში თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ინდივიდუალური საბინაო და სააგარაკო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“ სააგარაკო მშენებლობის ნაწილში, ვარდა მე-7 მუხლისა“

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ბელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 735